726/2 ა 8287


დღეგრძელთა მხარე

ალმანახი

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 3 (259). გამოცემის მე-15 წელი

1971 წლის 12 თებერვალი



ბუტა ბერულავა

აფსაზეთში

აქ ყველაფერი არის ნაცნობი,
როგორც ძახილი ყმაწვილკაცობის.
ციცაბო კლდეზე ჯირითი ცხენთა
და საოცრების საამო ელდა;
ბერიკაცების დარბაისლობა,
სიჭაბუკე და ხმალთა მისნობა;
სტუმრის თაყვანი და გაღმერთება,
მეგობრისათვის თავგამეტება;
მთების ასულთა ხელების გაშლა,
აფხაზური და ქართული ვაშა;
აფხიარცაზე ნათქვამი სიტყვა
და ფხიან ხმალზე ციმციმი სხივთა;
ერთი სუნთქვა და ფიქრი საერთო,
რომ არ ვვარგივართ უერთმანეთოდ;
სადღეგრძელო და ფიცი კაცური,
ჩვენი უკვდავი ძმობის დასტური.
ეს ყველაფერი არის ნაცნობი,
ათიათასჯერ ნანახ-ნაგრძნობი,
ბუნებასავით მარად ცოცხალი
და... მაინც მუდამ გასაოცარი!



ძღერიან, ცეკვაობენ დღეგრძელები

აფხაზეთში დღეგრძელთა კუთხეა.

აქ საუკუნეს გადაცილებული ადამიანები ხალისიანად მუშაობენ, მღერიან, ცეკვავენ.

1927 წელს ფრანგი მწერალი ანრი ბარბიუსი „პრავდაში“ წერდა არაჩვეულებრივ აფხაზ მოხუცებზე, რომლებმაც საუკუნეს გადააბიჯეს და კვლავ ჰარმაგად გამოიყურებოდნენ.

„იზვესტია“ 1953 წლის 15 აპრილს იტყობინებოდა, რომ გალის რაიონის სოფელ თაგილონის კოლმეურნეს თემირ კაცბას მეგობრებმა დაბადების დღე 132 წლისთავზე გადაუხადეს.

1945 წელს საქართველოს — აფხაზეთს ცნობილი ინგლისელი მწერალი ჯონ პრისტლი ეწვია. მას მოხუცებთან შეხვედრა სურდა, რომელთა არაჩვეულებრივ დღეგრძელობაზე საშშობლოში გაეგონა. მასპინძლებმა სასურველი სტუმარი 147 წლის შხენგერ ბუანიასთან წაიყვანეს.

მასპინძელი შინ არ დაუხვდათ. ყურძნის საკრეფად გასულიყო.

მინდა მუშაობისას ვნახო მოხუცი, თქვა მწერალმა.

იგი უზარმაზარ კალის ხესთან მიიყვანეს, რომელსაც ვეებერთელა ვაზი შემოხვეოდა.

ჩამოდი, შხენგერ, სტუმრები მოვიდნენო, ასძახეს მასპინძელს.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ყოველთვის მახარებს სტუმარიო, მოისმა სადღაც ზემოდან, ხის კენწეროდან, მხნე და სახიამოვნო ხმა. მოხუცმა ჯერ ყურძნით სავსე კალათა ჩამოუშვა თოკით. შემდეგ თვითონაც მარდად დაიწყო ჩამოსვლა და როცა მიწამდე ორიოდე მეტრი დარჩა, მსუბუქად ჩამოხტა.

უცხოელი განცვიფრებული შეჰყურებდა 147 წლის მაღალ, გამხდარ, წარმოსადეგ მოხუცს. შხენგერს ჰქონდა სასიამოვნო სახე, კეთილი ღიმილი, ცისფერი მახვილი თვალები. სტუმარი გააოცა მისმა საზრიანობამ, გამჭრიახობამ.

ეს ყველაფერი სინამდვილეა, თუმცა ძნელი დასაჯერია.

ახლა კი მინდა სიმღერისა და ცეკვის იმ ანსამბლზე მოგითხროთ, რომლის მსგავსი, ალბათ, მსოფლიოში არ მოიპოვება.

ანსამბლი 1948 წელს აფხაზური ხალხური შემოქმედების უანგარო მოღვაწემ ივანე ჭორთუამ ჩამოაყალიბა. მაშინ მასში მხოლოდ რვა კაცი მონაწილეობდა. მსმენელებს ატკბობდნენ ხალხური საგმირო სიმღერებით, რომლებსაც აფხიარცზე, აჩარპანზე და სხვა ეროვნულ საკრავებზე ასრულებდნენ.

ანსამბლი საუკუნეგადაცილებული ან ამ ასაკს მიღწეული მოხუცებისაგან შედგებოდა და მას დღეგრძელთა ანსამბლი შეარქვეს. იგი მართლაც დღეგრძელი აღმოჩნდა. ახლა ანსამბლში აფხაზეთის რაიონების ორმოცამდე მოხუცია გაერთიანებული. ისინი წელიწადში რამდენჯერმე იკრიბებიან სოხუმში, ამზადებენ პროგრამას, გადიან რეპეტიციებს და ამის შემდეგ კონცერტებს მართავენ.

ისევ ხალხური საგმირო სიმღერები ეროვნულ საკრავებზე შესრულებით, ისევ ცეცხლოვანი ცეკვები და საუკუნოვანი მოხუცების ფეხის ცერებზე ტრალი.

ანსამბლს კარგად იცნობენ სოხუმში, თბილისში, მოსკოვში.

ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის ზეიმზე დღეგრძელები კრემლის ყრილობათა სახახლეში გამოვიდნენ და გააოცეს ჩვენი ქვეყნის სტუმრები.

დღეგრძელთა მნახველები გაკვირვებით კითხულობენ, რამდენიაო ამ ანსამბლის წევრთა საშუალო ასაკი?

როდესაც იგებენ, 80-85 წელიო, მხრებს იჩეჩენ და ჩაილაპარაკებენ — საოცარია, დაუჯერებელიაო.

იქნებ მართლაც საოცარია, მაგრამ აჭანდარელი მოცეკვავე ლით კვარჩელია ოთხმოცი წლისაა. მისი კბილაა დიგუ ბიგვავა, მათზე ექვსი წლით უფროსია ბლაბურხველი სმელ ბარციცი. ოთხმოცდაჩვიდმეტი წლისა არის ლიხნელი შიგუ ლაკოია. შიგუს კარის მეზობელი თეიმერ ვანაჩა ერთი წლის შემდეგ საუკუნისა გახდება. საუკუნეს კარგა ხანია გადააბიჯა თეთ შარმატმა..

მოხუცები საყოველთაო პატივითა და ყურადღებით არიან გარემოსილი. უიმათოდ სოხუმში არც ერთი ზეიმი და დღესასწაული არ გამართულა.

საქართველოს ტელესტუდიამ ამ ანსამბლზე ფილმი გადაიღო. დღეგრძელებზე ფილმები შექმნეს უცხოელმა კინომოღვაწეებმაც.

დღეს ანსამბლს ხელმძღვანელობს ივანე ქორთუას ღირსეული მემკვიდრე, აფხაზეთის ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორი, კომპოზიტორი კონსტანტინე ჩენგელია, ქორეოგრაფია აკაკი მალია. მათ უკვე მოამზადეს ანსამბლი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად. უკან დარჩა რეპეტიციები. დაიხვეწა საკონცერტო რეპერტუარი. პროგრამაშია აფხაზური და ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

მალე კვლავ შევხვდებით დღეგრძელთა ანსამბლს.

მოხუცები ისევ მოგვხიბლავენ სიმღერებით, გაგვაცებენ ჭაბუკური სიჩაუქეთა და მოქნილობით, ცეცხლოვანი ცეკვებით.

რამდენია ამ ანსამბლის წევრთა საშუალო ასაკი?

შეგახსენებთ: 80-85 წელი, ისინი ხომ დღეგრძელები არიან.

ლაშა გარეჯელი.



სურათებზე: ზემოდან — „მედეა“ ბიჭვინთაში; დღეგრძელები; დიგუ ბიგვავა.



50

ერთი შეხედვით, ორმოცდაათი წელიწადი უმნიშვნელო მონაკვეთია ისტორიაში. ამიტომ უფრო საოცარია იმ გრანდიოზულ ცვლილებათა სიდიადე, რომლებიც ჩვენს პატარა კუთხეში — აფხაზეთში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

უძველესი და თვითმყოფი კულტურის, გმირული წარსულის მქონე აფხაზი ხალხი თავისი ბედის ბატონ-პატრონი, ნათელი აწმყოსა და ბედნიერი მომავლის მშენებელი გახდა.

აფხაზეთი ბუნებას უხვად დაუჯილდოებია, მაგრამ მისი სიმდიდრე თითქმის გამოუყენებელი იყო. ხალხი სიღატაკეში ცხოვრობდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის მრეწველობა, რომელიც ძირითადად კუსტარული ხასიათისა იყო, წელიწადში 186 ათასი მანეთის პროდუქციას იძლეოდა. 1969 წელს კი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 204 მილიონ მანეთს გადააჭარბა. დღეს გვაქვს საკუთარი ენერგეტიკული მეურნეობა, სამთამადნო, მსუბუქი, კვების, ხელსაწყოთმშენებელი და მრეწველობის სხვა დარგები.

ადრე არ გაგვაჩნდა რკინიგზა და ნავსადგური. საავტომობილო გზები. მრავალი სოფელი არსებითად მოწყვეტილი იყო ქალაქს, ურთიერთს. ამჟამად აფხაზეთი დასერილია თანამედროვე კეთილმოწყობილი გზატკეცილებით, ელექტრიფიცირებულია რკინიგზა, გვაქვს რამდენიმე ნავსადგური, სოხუმი ჩვენი სამშობლოს თითქმის ყველა კუთხეს საჰაერო ლაინერებით უკავშირდება.

აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის აყვავების საფუძველი მისი მრავალდარგოვანი სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის არნახული წარმატებაა. სოფლის მეურნეობის აღმავლობა კი ჩვენთან მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო. ჩაი, თამბაქო, ეთერზეთოვანი კულტურები, ციტრუსები, ვენახი — აი ძირითადი კულტურები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიმართულებას.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთი გადაიქცა ერთ-ერთ შესანიშნავ, საკავშირო მნიშვნელობის კურორტად. სახელმწიფო ყოველწლიურად უამრავ სახსრებს ხარჯავს ჩვენი კურორტების კეთილმოსაწყობად. ახალი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, პანსიონატები, ტურისტული ბაზები ჩადგა მწყობრში გაგრაში, სოხუმში, გუდაუთაში, ახალ ათონში... ამ სამიოდე წლის წინათ კი მშრომელთა ჯანმრთელობის სამსახურს შეემატა მსხვილი საკურორტო კომპლექსი ბიჭვინთაში, რომელიც ერთდროულად სამი ათას დამსვენებელს ემსახურება. ჩვენი კურორტები სულ უფრო იცვლიან პროფილს, კლიმატურიდან გარდაიქმნებიან კლიმატურ-ბალნეოლოგიურ კურორტებად. ამას ხელს უწყობს იმ სამკურნალო წყაროების გამოყენების გაფართოება, რომლებიც ავტონომიურ რესპუბლიკაშია აღმოჩენილი.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილმა, განაპირა კუთხემ — აფხაზეთმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიაღწია კულტურისა და განათლების არნახულ წარმატებებს. ახლა აფხაზეთის 475 სკოლაში (მათ შორის 146 საშუალო სკოლაში) 108 ათასი მოსწავლე სწავლობს. თუ რევოლუციამდე მხოლოდ ერთი აფხაზური საშუალო სკოლა გვქონდა, ახლა მისმა რიცხვმა 98 მიაღწია. სოხუმის უმაღლეს სასწავლებლებში 8.500 სტუდენტია. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ამზადებენ ინდუსტრიული ტექნიკუმი და სხვა საშუალო სპეციალური სასწავლებლები.

განუხრელად იზრდება კლუბების, კულტურის სახლების, ბიბლიოთეკებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი.

მუშათა კლასთან და კოლმეურნე გლეხობასთან ერთად რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში ხერხიოზული წვლილი შეაქვს ჩვენს ეროვნულ ინტელიგენციას. აფხაზეთის მშრომელთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაზოვარია მეცნიერული აზროვნების განვითარება. ავტონომიური რესპუბლიკის 15 სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში დასაქმებულია 700-ზე მეტი თანამშრომელი, რომელთაგან 30 მეცნიერების დოქტორი და 308 კანდიდატია.

აფხაზი ხალხი ამაყობს თავისი მაღალმხატვრული ლიტერატურითა და თვითმყოფი ხელოვნებით. ჩვენი რესპუბლიკის შემოქმედებითი ინტელიგენციის მოღვაწეებს შესამჩნევი, სულ უფრო მზარდი წვლილი შეაქვთ საერთო-სახალხო სოციალისტური კულტურის განვითარებაში. ახლა აფხაზეთის მწერალთა კავშირი 56 მწერალსა და პოეტს აერთიანებს. ვითარდება პერიოდული პრესა, რადიომაუწყებლობა, ტელევიდვა, წიგნის გამომცემლობა. აფხაზეთში გამოდის ჟურნალები „ალაშარა“ და „ამცაბზი“, სამი საოლქო, 6 რაიონული და ერთი საქალაქო გაზეთი. ნაყოფიერად მუშაობენ სამსონ ჭანბას სახელობის სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური და ქართული კოლექტივები.

აფხაზეთში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, დიდი სამუშაოები ხორციელდება მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის. უმჯობესდება მათი საყოფაცხოვრებო მომსახურება. შექმნილია სამედიცინო დაწესებულებათა ფართო ქსელი.

აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა და განვითარება კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმის ნათელი მაგალითია.

სახელოვანი გზა



ბაგრატ შინკუბა,
აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

■ ■

ურილოგის დელეგატი

ორგზის სოციალისტური შრომის გმირი



სოფელი ხეივანი კარგა მოზრდილ და კეთილმოწყობილ დაბას მაგონებს. ოთხსავე მხარეს მიემართება მოასფალტებული გზები. მარცხნივ და მარჯვნივ ბაღ-ვენახებში ჩამსხდარან ლამაზი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. ხეივნელები შრომისმოყვარენი არიან, მათი კოლმეურნეობა გუდაუთის რაიონში ერთ-ერთი უმდიდრესია. აქაური ექვსი მშრომელი სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელს ატარებს და სოფლის ყოველგვარი სიკეთე აბა რა გასაკვირია.

ჩვენ ამ გმირთაგან ერთ-ერთი უფრო საჩინო და სახელმოხვეჭილი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი პრასკოვია სპანიძე გვაინტერესებს.

მასპინძელი ჭიშკართან შემოგვეგება.

ჩემთვის, ობოლი ბიჭისათვის, რომელმაც მეოთხე კლასიდან ცხოვრებაში გასვლა მოვასწარი. ყველაზე დიდი იმედი კოლმეურნეობა იყოო, ასე დაიწყო საუბარი პატივცემულმა პრასკოვიმ.

გუშინდელივით ახსოვს პირველი დამოუკიდებლად გაშენებული თამბაქოს პლანტაციები, სიმინდის პირველი ახალგათხნილი ფართობი და დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეები, ჯარისკაცის გზა კავკასიიდან ბერლინამდე.

ომშიც ვაჟკაცი ყოფილა პრასკოვი.

„დიდების“ მეორე და მესამე ხარისხის საბრძოლო ორდენებით, მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა სოფელ ხეივნის კოლმეურნეობას და ჯარისკაცულად შეუტია ომის დროს დაბეჩავებულ მინდვრებსა და პლანტაციებს.

მშვიდობიან შრომაშიც ვაჟკაცია პრასკოვი.

1948 წელს თამბაქოს სარეკორდო მოსავალი მიიღო და სოციალისტური შრომის გმირი გახდა.

1949 წელს ლენინის ორდენით დააჯილდოეს.

1950 წელს კვლავ ლენინის ორდენით აღინიშნა მისი შრომა.

1951 წელს კი 18 ცენტნერის ნაცვლად 30 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა და მეორედ მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

შრომაში გაილია წლები. სახლკარი დოვლათით გაევსო. ხარობს გმირის ოჯახი. სწავლობენ შვილები — ვახტანგი ლენინგრადში, მაყვალა სოხუმში.

ხეივანში მთელი რაზმია, სოციალისტური შრომის გმირებისა და ორდენოსანი მშრომელებისა, რომლებსაც სოფლისათვის ხვავი და ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოაქვთ. სოფელიც სამართლიანად ამაყობს თავისი შვილებით.

შარშანაც წლიური გეგმით ნავარაუდევ თამბაქოს მოსავალს ერთნახევარჯერ გადაამტეს ხეივნელმა მეთამბაქოეებმა და ამ წარმატებაში საკუთარი წვლილი ბრძოლისა და შრომის სახელოვან ვეტერანს პროკოფი სვანიძესაც მიუძღვის. ამიტომაც იყო, ხეივნელებმა ჯერ რაიონული პარტიული კონფერენციის დელეგატად რომ აირჩიეს პროკოფი სვანიძე, რაიონმა ოქროს ვარსკვლავების კავალერი, ხეივნელთა დელეგატი აფხაზეთის საოლქო პარტიულ კონფერენციაზე წარგზავნა.

ამ დღეებში კი, საქართველოს კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატი პროკოფი სვანიძე თბილისს ესტუმრება და საქართველოს კომუნისტთა ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი სამშობლოს ღვაწლმოსილ ადამიანებთან ერთად იმსჯელებს ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის.

ჯემალ ჯიქია

ციფრები და ფაქტები

● ამჟამად აფხაზეთში 7 დიდი შახტი მუშაობს.

● აფხაზეთის მსუბუქი და კვების მრეწველობის საფუძველია ჩაის 12 ფაბრიკა, საკონსერვო და ღვინის ქარხნები, თამბაქოს საფერმენტაციო ფაბრიკები.

● აფხაზეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაშია ორი ათასი ტრაქტორი და ჩაის საკრეფი 200 მანქანა.

● ჩაის—14ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავს, ციტრუსები გაშენებულია 4 ათას ჰექტარზე.

● მრავალი შვილის შობასა და აღზრდისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდება მიენიჭა 271 ქალს, 20 ათასზე მეტი მრავალშვილიანი დედა დაჯილდოებულია „დედობის დიდებით“ და „დედობის მედლით“.

● მარტო შარშან გამომცემლობა „ალაშარამ“ გამოსცა 220.000 წიგნი ქართულ, აფხაზურ და რუსულ ენებზე.

● აფხაზეთის ექვსსავე რაიონში და ქალაქ ტყვარჩელში გამოდის გაზეთები, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი 45 ათას ეგზემპლარს აღემატება.

მარადიული გაზაფხულის გაღი

ბუნებას უხვად შეუმკია ეს კუთხე. წელიწადის ყველა დროს იგრძნობა აქ ფერების სიუხვე. მარად ნარინჯითა და მწვანით არის მოხატული ველ-მინდვრები და ბაღ-ვენახები, პარკები და სკვერები. ზღვისპირეთის ფლორა ხიბლავს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან თუ უცხოეთიდან ჩამოსულ სტუმრებს.

სოხუმის ბოტანიკურ ბაღში ჩვენი კონტინენტისათვის დამახასიათებელი მრავალი მცენარე ხარობს. სამ დღეს ვცნობოდა ამ ბაღს მსოფლიოს ბოტანიკოსთა ასოციაციის პრეზიდენტი, ლონდონის სამეფო ბაღის დირექტორი ჯორჯ ტეილორი. მის მიერ სოხუმიდან წაღებულმა ნერგებმა ფესვები გაიდგეს ბრიტანეთის მიწაში. არც იგი დარჩენილა ვალში — ტეილორმა სოხუმში მცენარეთა მრავალი თესლი გამოგზავნა.

ამას წინათ ამერიკაში ბოტანიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა სოხუმის ბოტანიკური ბაღის დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი გივი აიბა. იგი შეხვდა ტეილორს, რომელმაც ერთხელ კიდევ გადაუხადა მადლობა სოხუმში გაწეული მასპინძლობისათვის, განსაკუთრებით კი იმ მცენარეებისათვის, რომლებიც ახლა ლონდონის სამეფო ბაღს ამშვენებენ.

და განა მარტო ლონდონში ხარობს აფხაზეთის ყვავილები?

ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ბოტანიკურ ბაღებში ლაღად იზრდება კავკასიის იელი, თეთრი ლოტოსები, პალმები...


მარადიული გაზაფხულის ბაღი — ასე უწოდებენ მნახველები სოხუმის ბოტანიკურ ბაღს და მართლაც, როდესაც უნდა ეწვიოთ მას, თვალს მოგტაცებთ ფერთა სიუხვე, დაგატკბობთ ყვავილთა სურნელი...

ვახტანგ ცანავა



სურათზე: ბოტანიკური ბაღი.

მიხეილ ტარასაშვილის ფოტო



ს უ რ ა თ ზ ე: „შოთა რუსთაველი“ და „ტარას შევჩენკო“ სოხუმის პორტში.
მ ი ხ ე ი ლ ტ ა რ ა ს ა შ ვ ი ლ ი ს ფ ო ტ ო

ბუნების საოცრება

ახალი ათონიდან ორიოდე კილომეტრზე, ივერიის მთის მახლობლად, ზედ უფსკრულის პირას ფართოდ გაუშლია მხრები ასწლოვან ცაცხვს. თვალს ძლივს ჩააწვდენთ უფსკრულის ფსკერს, სადღაც დედამიწის გულში რომ ჩაკარგულა. უნებური შიში გიპყრობთ უზარმაზარი ურჩხულის ხახასავით პირდაღებული ბნელეთის ხილვისას, მისთვის რომ სახელიც შესაფერი შეურჩევიათ — „უძირო ორმო“.

მრავალი ლეგენდა, თქმულება თუ ზღაპარი დადიოდა აფხაზეთში ამ უფსკრულზე. საინტერესო მათ შორის ბევრია, მაგრამ ყველაზე საინტერესო მაინც ის არის, რამაც დღემდე არსებული ყველა ლეგენდა თუ ზღაპარი უკან მოიტოვა და „უძირო ორმოს“ საიდუმლოებას ფარდა ახადა.

...ეს იყო 1961 წლის ზაფხულში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის სპელეოლოგები — ზურაბ ტინტილოზოვი, არსენ ოქროჯანაშვილი, ბორის გერგედავა და ახალი ათონის მკვიდრი — გივი სმირი ჩაეშვნენ უფსკრულში, სადაც 18 საათი დაჰყვეს. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი სპელეოლოგიური აღმოჩენა, რომელმაც წაშალა ერთი დიდი „თეთრი ლაქა“ მიწისქვეშა სამყაროს რუკაზე და უდიდესი როლი შეასრულა საქართველოში მღვიმეთმცოდნეობის პოპულარიზაციასა და განვითარებაში.

შემდეგ წლებში სპელეოლოგები კვლავ რამდენჯერმე ეწვივნენ ანაკოფიის მიწისქვეშა სასახლეებს. ყველა სიღრმული ჩასვლის ხელმძღვანელი გახლდათ გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი ზურაბ ტინტილოზოვი. საქართველოს მღვიმეებსა და უფსკრულებში მოგზაურობასა და მეცნიერულ დაკვირვებებს ახალგაზრდა მეცნიერმა მიუძღვნა 6 წიგნი და 80-მდე სტატია, რომელთაგან ბევრი საკავშირო და უცხოურ პრესაშიც დაიბეჭდა.

ანაკოფიის პირველ ხუთ სპელეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობდა არსენ ოქროჯანაშვილი, ძალზე გამეცდილი, მოხერხებული კაცი, რომელიც პირველი მიდიოდა უვალ ბილიკებზე, წინ მიუძღოდა რაზმს. იგი ტრაგიკულად დაიღუპა 1965 წელს ასხის კირქვული მასივის კვლევისას.

ანაკოფიის მღვიმის კვლევაში დიდი წვლილი მიუძღვით გეოგრაფიის ინსტიტუტის კასტროლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის გამგეს შალვა ყიფიანს, მეცნიერ თანამშრომლებს ვარლამ ჯიშკარიანს, ლადო ქალდანს, ბორის გერგედავასა და სხვებს.

საქართველოს მღვიმე-უფსკრულების კვლევის პრაქტიკაში ანაკოფია იყო პირველი, სადაც საცხოვრებელი ბანაკი ორასმეტრიანი სისქის კირქვიანი შრეებიის სიღრმეში მოეწყო. მამაცმა მკვლევარებმა მიწისქვეშა „ქალაქში“ მეორედ ჩასვლისას 60 საათი დაჰყვეს, მესამედ — 5 დღე-ღამე, ხოლო 1965 წელს ექსპედიციამ მიწის ქვეშ 14 დღე-ღამე გაატარა. ამ მღვიმე-უფსკრულის შესწავლა შემდეგ წლებშიც გაგრძელდა. სპელეოლოგთა ფათერაკებით სავსე მიწისქვეშა ცხოვრება, ანაკოფიის მღვიმის გასაოცარი სილამაზე, რომლის სადარი ზღაპარშიც იშვიათად თქმულა, სპელეოლოგებთან ერთად მეხუთე ექსპედიციაში მყოფმა კინოდოკუმენტალისტებმა ფირზე აღბეჭდეს.

მაგრამ კინოფილმს არ ძალუძს სრულად გადმოგვცეს მიწისქვეშა სამყაროს მშვენიერება, მოგვანიჭოს ის ესთეტიკური სიამოვნება, რასაც ამ საოცრებათა უშუალო ხილვა იძლევა. და აი სპელეოლოგთა მეცნიერული ძიების შედეგს ანაკოფიის ზღაპრული სამყაროსაკენ გზა გაიკაფეს მშვილებლებმა. უკვე ხორციელდება მისი კეთილმოწყობის პროექტი. ყველას, ვისაც აინტერესებს უმშვენიერესი მიწისქვეშა სასახლეების, ათასწლოვანი სტალაქტიტური ტყეების, კამარა ტბების, განუმეორებელი პეიზაჟების ხილვა, შეეძლება ამოგზაუროს ამ ჯადოსნურ სამყაროში.

და მაინც, რა შეიძლება ნახოთ ანაკოფიის მღვიმეში? მიწის ქვეშ ფეხშიშველა მცირეგაბარიტიანი ელექტრომატარებელი შეგიყვანთ. პირველი დარბაზი, რომელსაც ეწვევით, „აფხაზეთია“, შემდეგ კი „ქართველ სპელეოლოგთა დარბაზში“ მოხვდებით. აქა უდიდესია არა მარტო ანაკოფიის მღვიმურ სისტემაში, არამედ ჩვენი ქვეყნის დღემდე ცნობილ მიწისქვეშა ბუნებრივ სიცარიელეთა შორისაც. აქ შეგიძლიათ მოისმინოთ „წყლების მელოდიები“ — წყლის ზედაპირზე დიდი სიმაღლიდან წვეთებისა და ჭავლების ვარდნის ხმები. შემდეგ „თოვლის დარბაზს“ გაივლით და „მიწისქვეშა ბეთჰოვენ“ „ტაძარის“ წინ გაუყვებით. „ტაძარი“ მიწისქვეშა ცათამბჯენია. მისი სიმაღლე 60 მეტრს აღემატება. საგულისხმოა აღინიშნოს, რომ მამონტის უდიდესი მღვიმის (აშშ) ყველაზე მაღალი დარბაზის სიმაღლე მხოლოდ 38 მეტრია.

„ტაძარს“ სამხრეთ-აღმოსავლეთით გამოსდგომია მეტად მაღალი დარბაზი გუმბათოვანი ჭერით, რას ამშვენებს პლატფონი — სტალაქტიტების კონუსი და კოლონების ორნამენტებით მდიდრულად შემკული ჭალი, რომელიც ბუნებრივ ბრტყელ მოედანზე დაგზვდებათ უძველესი „ეგვიპტური“: კალციტისაგან „შემზადებული“ უნიკალური „ფანტასტიკური“ ნახელავი: „ტორტები“, „ერბოკვერცხები“ ... ანაკოფიაში ბუნების ასეთი კულინარული ნაწარმის სალონი ტოლს არ უდებს სახელგანთქმულ ლურეის (აშშ) მღვიმეში „ტორტებისა“ და „ერბოკვერცხის“ სალონს ზემოთ პატარა აღმართს აივლით და მოხვდებით სტალაგმიტებითა და სვეტებით შემკობილ დარბაზში. საოცრად ლამაზია წყვილად აშოლტილი სტალაგმიტები, როგორ წააგავან ისინი კვიპაროსებს! ეს დარბაზი „სოხუმია“. იგი ანაკოფიის მღვიმის ყველაზე მაღლამდებარე დარბაზია.

„სოხუმიდან“ დაბრუნებულნი „მიწისქვეშა ხეობით“ „ივერიისაკენ“ გაუყვებით გზას. შთამბეჭდავი სანახაობაა ქარვისფერი მოწითალო სტალაქტიტ-სტალაგმიტები, რომლებიც ბრილიანტივით ბზინავენ შუქზე. მაგრამ მეტი სიამოვნება წინ არის.

ბევრი წარმტაცი ადგილია მიწის ქვეშ, მაგრამ ყველაზე ზღაპრული მაინც ის დარბაზია, რომელიც „თბილისის“ სახელს ატარებს. თავისუფლად შეიძლება რეალურად არსებული ზღაპრული სამყარო უწოდო მას. სწორედ აქ არის ჩვენი ქვეყნის მიწისქვეშა უნიკალური ქმნილება — დეკორატიული ხაზებითა და მძიმე ფოჩებით მდიდრულად მორთული ფარდა, რომლის სიგრძე ოც მეტრს აღემატება. იგი მეტოქეობას უწევს ლავენის მღვიმის (ლოზერი) მსოფლიოში უდიდეს ფარდას. შეიძლება გაქვავებულ ჩანჩქერსაც შევადაროთ მისი ენითუთქმელი სილამაზე. ეს საოცარი დარბაზი უმდიდრესი განძთსაცავიც არის. ჩვენს ქვეყანაში გამოკვლეული ბევრი მღვიმე ვერ შეედრება მას მღვიმური მარგალიტების სიმდიდრით.

„თბილისის“ შემდეგ „ჰელიტიტების“ დარბაზია. ბუნებას ეს საოცრება ყველაზე შორს „გადაუმალავს“. იგი მდიდრულად არის მორთული ნაირ-ნაირი ფორმის, თეთრი და ფერადი სტალაქტიტებით, აგრეთვე ჰელიტიტური ნაზარდებით, რომელთა მსგავსს ვერც ერთ მღვიმეში ვერ შეხვდებით. უცნაურად დაგრეხილი ეს სტალაქტიტები მოგვაგონებენ წრეებს, ელიფსებს, ზამბარებს, კითხვის ნიშნებს, ნომსებსა და უცნაური ფორმის სხვა საგნებს. დღემდე სრულად არ არის ახსნილი ამ ექსცენტრიული წარმონაქმნების აღმოცენების თავისებურებანი.

მაგრამ ამ სალონში მხოლოდ ექსცენტრიკები როდი გაგაცებენ. მდიდრულად მორთული ჭერის ცქერით თუ მოიღლებით, მზერა გადაიტანეთ წყლით უჩვეულოდ მოქარგულ-მოხატულ იატაკზე, რომელიც ერთი შეხედვით მარჯნის ბრაგებსაც მოგვაგონებს.

ანაკოფიის მღვიმეში მიწისქვეშეთის კიდევ ბევრ საოცრებას იხილავთ.

ანაკოფიის მღვიმის კეთილმოწყობა 1972 წლისათვის უნდა დამთავრდეს. პროექტი დამუშავდა საქართველოს ქალაქმშენებლობის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტის მე-6 არქიტექტურულ-საგეგმო სახელოსნოში. ივერიის მთის მისადგომებთან შენდება სასტუმრო, კაფეები, ავტოსადგომი. აქვე იქნება მთავარი შესასვლელიც. მღვიმეში გაჰყავთ ბილიკები, ეწყობა სამზერი მოედნები, ხიდები, გადასასვლელები, კიბეები. განსაკუთრებული ყურადღებით მუშავდება გიგანტური დარბაზების განათების საკითხი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ანაკოფიის მღვიმეს თავისი სიდიდით, სილამაზითა და ბუნების ნაწყალობევი სიმდიდრით ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოს ცნობილ მღვიმეებსა და უფსკრულებს შორის. მალე მისი ზღაპრული სამყარო ხელმისაწვდომი გახდება სილამაზისა და სიმშვენიერის ყველა მოყვარულისათვის.

ლ ი ა ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი



ს უ რ ა თ ზ ე: „ქვის კვიპაროსები“ ანაკოფიის მღვიმეში.

ლეგენდად ქცეული

აფხაზეთში ლეგენდების სიმრავლეზე ლეგენდა დადის — ამბობენ, ყველას მოსასმენად ერთი კი არა, ათი სიცოცხლეც არა ქმარაო. ლეგენდა ძმობაზე, მეგობრობაზე, ვაჟკაცობაზე, ბოროტის ძლევასა და კეთილის გამარჯვებაზე, ლეგენდა მზის, მთვარის, ვარსკვლავების, ზღვების, მთების, სოფლებისა და ქალაქების გაჩენაზე...

მრავალთა შორის დღეს ორ მათგანს მოგითხრობთ, ორივე ქალზეა თქმული. პირველმა საუკუნეების მიღმიდან მოაღწია ჩვენამდე, მეორე კი ოცდაათიოდე წლის წინათ დაიბადა და მისი გმირის საფლავს ახლაც ცოცხალი ყვავილებით ამკობენ...

მტრის ურიცხვი ჯარი მოადგა ქვეყანას. სულთანს ოქროვერცხლზე მეტად აფხაზეთის ლამაზი ასულის ნიცას ცოლობა ეწადა. შემოთვალა კიდეც — თქვენი მიწა-წყლის აოხრებისაგან გადარჩენა მხოლოდ ნიცას თანხმობას შეუძლიაო. მწუხარებამ მოიცვა დიდი თუ პატარა. სულთანის კარზე გასაგზავნად ვერავინ იმეტებდა მთების ტურფა ასულს. ბრძოლა გადაწყვიტეს. თუმცა იცოდნენ, ცოცხალი ვერც ერთი ვერ გადარჩებოდა. ისევ ნიცამ იხსნა სამშობლო. მტარვალს ეახლა და უთხრა: თანახმა ვარ გავხდე შენი ცოლი, ოღონდ ვაჟკაცობაში მინდა გამოგცადო, ვიბრძოლოთ და თუ ხელიდან ხმალს გამაგდებინებ, გმირიც შენა ყოფილხარო. სულთანს გაეცინა, აბა, დიაცთან როგორ ვიბრძოლოო. ნიცამ მას მხდალი უწოდა. ამან ძალზე განარისხა ქვეყნის მბრძანებელი და ხმალი აშიშვლებინა. ფათასწორო ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ვერ იქნა და ქალის ნაზ ხელს ვერ გამოჭგლიჯა სულთანმა ხმალი. ფოლადის ასხლეტილი ნაპერწკლები მთელ ხეობას ანათებდა, ხმლების ჯახა-ჯუხის ხმას მთების ექო ქვეყნის დასალიერში იმეორებდა.

გაშმაგებულმა სულთანმა მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა და მძაფრად შეუტია ნიცას. დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, ხმლები შედუღდნენ. კლდის პირას მდგარი ქალი შეტორტმანდა, უფსკრულში გადასავარდნად განწირულმა ხმალს ხელი არ გაუშვა და სულთანიც თან გაიყოლია...

მეორე ლეგენდა კი, აფხაზეთის მთებში სამამულო ომის წლებში რომ იშვა, ასეთია: შეტევაზე გადასულ საბჭოთა ჯარისკაცებს მტერმა გამანადგურებელი ცეცხლი შეაგება. გაყინულ მიწას რამდენიმე ასეული კაცი და ერთი ქალი, აფხაზეთის ზვიადი მთების შვილი ალექსანდრა ნაზაძე, ერთდროულად გაეკრო. ცოტაც და შეტევა შეიძლება მარცხით დამთავრებულიყო, რომ ამ ქალიშვილს არ ემარჯვა. — სამშობლოსათვის! — წამოიძახა მან და იარაღშემართული ეკვეთა მტერს. ქალის სიმამაცით ფრთაშესხმული მებრძოლები წამოცვივდნენ და მიჰყვნენ წინ გაჭრილ დობილს. მტერმა ერთი ტყვია არ აკმარა გმირს, ტყვიამფრქვევის მთელი ჯერი დაცხრილა სანგრებთან ჯიქურად მიჭრილ ქალს. ის კი მაინც გარბოდა და სხვებსაც შეტევისაკენ მიუხმობდა. შედრკნენ ფაშისტები. ზოგმა გაქცევით უშველა თავს, უფრო მეტი იქვე დარჩა მკერდგანგმირული. ალექსანდრამ კი მხოლოდ მაშინ ჩაიკეცა, დამარცხებული მტერი რომ ნახა. მებრძოლებმა სკაცე მოარბენინეს, საიდანღაც ექიმიც გაჩნდა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გმირი ქალიშვილი თანამებრძოლებმა პატივითა და დიდებით მიაბარეს მიწას.

ამ ლეგენდის კვალმა აფხაზეთის მთებში მდებარე სოფელ ოთხარაში მიმიყვანა. ვნახე სახლი, სადაც ალექსანდრა თავის შვიდ და-ძმასთან ერთად იზრდებოდა. შემდეგ კი გმირის უმცროსი და ლუბა გავიცანი. იგი ამჟამად აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-საგეგმო კომისიის თავმჯდომარეა. სტუმრობის მიზეზი რომ გაიგო, უველა საქმე გვერდზე გადადო და უფროსი დის სახსოვრად (ასე უწოდებდნენ ალექსანდრას ახლობლები) ცხოვრება გამაცნო.

ბავშვობიდანვე მეოცნებე, მტკიცე ნებისყოფისა და უშიშარი ქალიშვილი მრავალსულიან ოჯახს ბურჯად ედგა თურმე. უმცროს და-ძმას დედაზე მეტად, თორემ ნაკლებად არ უვლიდა. წამოიზარდნენ პატარები და როგორც იქნა თავის თავისთვისაც მოიცალა, სოხუმს



მიაშურა, საშუალო სასწავლებელი იქ დაამთავრა, შემდეგ ერთხანს ქუთაისში სწავლობდა, იქიდან კი მოსკოვში გაემგზავრა და ლენინის სახელობის სამხედრო-პოლიტიკურ აკადემიაში ჩაირიცხა.

მთებში გაზრდილი ქალიშვილი სწავლაში ტოლს არავის უდებდა. ბევრ ვაჟკაცს სამხედრო ხელოვნების დაუფლებაშიც სჯობნიდა და ტყვიის მიზანში მიტანაშიც...

სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე მოწინავე ხაზზეა. პოლიტხელი ალექსანდრა ნაზაძე საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანებს მებრძოლებს, ვინ მოსთვლის, რამდენი კაცის სიცოცხლე იხსნა ამ შავთვალწარბა ქალიშვილმა. მის მიერ ფრონტის ხაზიდან ზურგით გამოყვანილი დაჭრილი მებრძოლები დღესაც ცოცხლები არიან და საშას ნათესავებს მადლობის წერილებს სწერენ. სახლისთვისაც იცლიდა, შინ დარჩენილებს ამხნევებდა, მალე გავიმარჯვებთ, მშვიდობიან ცხოვრებას დავუბრუნდებით და გინახულებთო... მაგრამ არ დასცალდა. ის, რაც ლეგენდად იქცა და აფხაზეთის უველა სოფელში შეგიძლიათ მოისმინოთ, ნამდვილად მოხდა. საშამ გაამხნევა და შეტევაზე გადაიყვანა თანამებრძოლები. საკუთარი სიცოცხლის ფასად მტერს ქალაქ როსტოვის კიდევ ერთი ქუჩა გამოსტაცა.

სიკვდილის შემდეგ ალექსანდრა წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოეს, მისი სახელი კი მიეკუთვნა როსტოვის იმ ქუჩას, სადაც იგი გმირული სიკვდილით დაეცა.

დონზე გაშლილ ამ უზარმაზარ ქალაქში გმირის საფლავს ბევრი მნახველი ჰყავს სოხუმიდან, თბილისიდან, მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან... საშას მეგობრები, მასთან ერთად რომ სწავლობდნენ აკადემიაში, ახალგაზრდებს უყვებიან, როგორ უყვარდა სამშობლო აფხაზეთის მთებში დაბადებულ ქალიშვილს, როგორი მეგობრობა იცოდა, როგორ მოიხადა ვალი არა მარტო თავისი ხალხის, მთელი კაცობრიობის წინაშე...

ო მ ა რ მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი

დიდ სცენაზე ნაბიჯები

აფხაზეთის თეატრალურ ხელოვნებას, ამ ნიჭიერი ხალხის მომხიბლავ სიმღერებსა თუ ცეკვებს, კომპოზიტორთა შემოქმედებას თუ ესტრადის მსახიობთა საშემსრულებლო ოსტატობას კარგად იცნობენ ჩვენს ქვეყანაში. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ამ მზიურ კუთხეში დასასვენებლად ჩამოსული ადამიანები ძალზე ხშირად საბჭოთა კულტურის გაცნობას სწორედ აფხაზეთიდან იწყებენ და როგორც წესი, მოხიბლული რჩებიან.

აფხაზეთის კულტურის დღევანდელ წარმატებებზე ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრა აფხაზეთის კულტურის მინისტრი ნიკოლოზ პიუტი:

აფხაზეთის სიამაყეა სოხუმის სამსონ ჭანბას სახელობის დრამატული თეატრი, სადაც ერთდროულად მუშაობენ აფხაზური და ქართული დასები.

ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, ბაგრატ შინკუბას, ლეო ქიაჩელის, აკაკი გეწაძის, ალექსანდრე ჩხაიძისა და სხვათა პიესებს ყოველთვის დიდძალი მაყურებელი ჰყავს. სოხუმელ თუ სოხუმში სტუმრად ჩამოსულ თეატრის მოყვარულთა მოწონებას იმსახურებს მსახიობების აზიზ აგრბას, მინადორა ზურხბას, მიხეილ ჩუბინიძის, როზანბეი აგრბას, ვიქტორ ნინიძის, თინა ბოლქვაძის, ნოკოლოზ მიქაშავიძის საშემსრულებლო ოსტატობა. საქვეყნოდ გაითქვა სახელი აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა. იგი ორმოცი წელიწადია არსებობს და ამ ხნის მანძილზე იშვიათია შემთხვევა, მათი კონცერტები უანშლაგოდ გამართულიყოს.

სულ ახლახან მაყურებლის წინაშე პირველი კონცერტით წარდგა აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელა. მრავალი თაყვანისმცემელი ჰყავს ჩვენი ფილარმონიის საესტრადო ორკესტრ „რაიდას“.

ბევრის თქმა შეიძლებოდა სიმფონიურ ორკესტრზე, რომლის რეპერტუარში დიდი ადგილი აქვს დათმობილი აფხაზეთში მოღვაწე კომპოზიტორების — ალექსი ჩაჩბას, მამია ბერიკაშვილის, რაჟდენ გუმბას, ბაგრატ ბაგათელიას, კონსტანტინე ჩენგელიასა და სხვათა ნაწარმოებებს.

აფხაზეთის მხატვართა კავშირში 50 მხატვარია გაერთიანებული, ხოლო სამხატვრო სასწავლებლებსა და სამხატვრო სკოლაში ასობით ახალგაზრდა ეუფლება ხატვისა და ძერწვის ხელოვნებას.

ჩვენთან ვერ ნახავთ სოფელს საკუთარი კლუბის, კულტურის სახლისა თუ ბიბლიოთეკის გარეშე. ყველა რაიონულ ცენტრში გახსნილია მუსიკალური სკოლა: შარშან გუდაუთაში აშენდა საზაფხულო თეატრი, რომელიც 1.200 მაყურებელს იტევს...


ჩვენი ხალხი მუდამ გულღიად სვდება ხელოვნების უცხოელ წარმომადგენლებს. აქ ხშირად გამოდიან ამერიკელი, იაპონელი, ჩეხოსლოვაკელი, უნგრელი, იტალიელი, ფრანგი თუ პოლონელი მსახიობები და როდესაც მათთან დაშორების ჟამი დგება, „მშვიდობითო“ კი არა, „ნახვამდისო“ გვეუბნებიან და ჩვენც კიდევ და კიდევ სიხარულით ვმასპინძლობთ ნამდვილი ხელოვნების დესპანთ.





სურათებზე: ზევიდან — ხოხუმის დრამატული თეატრი; შვეულმფრენი კოხორის კლანტაციებში; ილორის წმინდა გიორგის ეკლესია; სასტუმრო „ბაგრიფში“.





ფოტოილუსტრაციები მზიური აფხაზეთი

მზე, ზღვა და თხილამურები

შავი ზღვის სანაპიროს „მარგალიტს“ უწოდებენ გაგრას, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უშესანიშნავეს კურორტს. ზღვისა და მწვანით მოსილი მთების საოცარი შერწყმა, რბილი კლიმატი, განუმეორებელი სილამაზე წელიწადის ყველა დროს იზიდავს უამრავ დამსვენებელს.

განსაკუთრებით მომხიბლავია ზღვისპირა პარკი, რომელშიც მსოფლიოს ყველა კუთხის მცენარეებს შეხვდებით, ყველა სახის სუბტროპიკული ნარგავებით მოხიბლებით. ხეებს შუა კი ხელოვნური ტბა დაგიტკბობთ მზერას. მას „გედის ტბას“ ეძახიან დამსვენებლები. ამაყად, თავმომწონედ დაცურავენ მასში ყელმოღერებული, გრაციოზული ავსტრალიური თეთრი და შავი გედები.

კურორტის ზემოთ, ხეობის გზით მთისკენ თუ გაემართებით (ამჟამად მიმდინარეობს ამ გზის რეკონსტრუქცია), გაგრის მთის გადაღმა ფართო მინდორზე გახვალთ, სადაც არ აღწევს ჩრდილოეთის ცივი ქარი და საიდანაც მოჩანს განუმეორებელი პანორამა — სიმწვანეში ჩაფლული გაგრა და ლურჯად მოლივლივე ზღვის ნაპირი.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით აქ, ამ ადგილზე, აშენდება მაღალმთიანი კურორტი, რომელსაც პირობითად გაგრა-ალპიური ჰქვია. არქიტექტორებმა — კახა ჯავახიშვილმა, ბელა გაბუნიამ და ევგენი სალაყაიამ შესანიშნავად გამოიყენეს ადგილმდებარეობის ბუნებრივი მონაცემები და შექმნეს პროექტი, რომლის განხორციელების შემდეგ გაგრა-ალპიური მსოფლიოს ერთ-ერთი სახელგანთქმული კურორტი იქნება.

წელიწადის უმეტეს დროს — ოქტომბრიდან ივნისამდე გაგრის ქედი თოვლით არის დაფარული. ამიტომ პროექტის ავტორებმა გაგრა-ალპიურის აშენების საკითხი 2 კომპლექტად გადაწყვიტეს: პირველი ზღვის დონიდან 1500-1600 მეტრზე აიგება. აქ განლაგდება დასასვენებელი სახლები, სასტუმროები, მოტელი, რესტორანი, კაფე, კინოთეატრი, ესტრადა და სხვა ნაგებობანი. მეორე კომპლექსი კი — სათო სათხილამურო ბაზა — ზღვის დონიდან 1800-1900 მეტრზე აიგება. არაბიკის მთის წვერიდან, რომლის სიმაღლე 2600 მეტრს აღწევს, ჩრდილოეთის ფერდობზე დაეშვება სამთო-სათხილამურო ტრასა. გათვალისწინებულია ავრეთვე კალათბურთის, ფრენბურთის, ჩოგბურთის მოედნები, აშენდება საცივურაო მოედანი ხელოვნური ყინულით, დახურული საზამთრო საცურაო აუზი და სხვა.

კურორტის ქვედა კომპლექსი გაგრას უნიკალური ორსაფეხურიანი საჰაერო-საბაგირო გზით დაუკავშირდება; მისი სიგრძე 4,5 კილომეტრი იქნება.

ალპიური გაგრა ერთდროულად ოთხი ათასამდე კაცს მოემსახურება.

გაივლის რამდენიმე წელიწადიც და შავი ზღვისპირეთის მარგალიტი გაგრა მთის კურორტებსაც გაუწევს მეტოქეობას, აქ ჩამოსულ დამსვენებლებს ერთდროულად ექნებათ მზე, ზღვა და თხილამურები...

ლია მიქაძე

მზის სხივი ჩამდგარა...

მიწა დროშასა ჰგავს. დროშასავით წმინდაა და სათაყვანო, დროშასავით გაფრთხილება და პატრონობა უნდა, რომ უცხო ხელი აუგად არ შეეხოს, არ შეურაცხყოს და შებილწოს, ფეხი უხეშად არ დაადგას, არ გათელოს, ავი თვალით არ შეხედოს. მიწაც დროშასავით გადაეცემა ხელიდან ხელს, თაობიდან თაობას.

მიწას, ადამიანივით, ყველაზე მეტად თავისუფლება უყვარს. იგი არ იგუებს უცხო და ბორკილიან ადამიანთა შრომას. მაგალითისათვის შორს ნუ წავალთ. გვეწვიეთ კოხორაში და ნახავთ, რა შესძლებია თავისუფალ შრომას.

I

„ქვეყანა არის ჭაობიანი, ცხელი, ნოტიო და შემოსილია ტყით“, — წერდა კოლხეთში მგზავრობის შემდეგ მედიცინის მამამთავარი, ბერძენი ფილოსოფოსი ჰიპოკრატე.

გადიოდა წლები, საუკუნეები. ყველაფერი უცვლელი რჩებოდა. მხოლოდ ოქტომბერმა დაარღვია ერთფეროვნება. ოქტომბერი კოხორაშიც დადგა. პირველად მანდარინი ერასტი ზუხბაიამ დარგო თავის ეზოში.

მეზობლები ეჭვის თვალით შესცქეროდნენ შეყვითლებულ ნაყოფს. ეს სიყვითლე მალარიასა და ციებას აგონებდათ.

მალე სპეციალური კომისიაც გამოჩნდა. უნდა დაედგინათ, კოხორის მიწაზე იხარებდა თუ არა ციტრუსი.

პირველად ერასტის ეზოში შეაბიჯეს. ნაყოფით დახუნძლულმა ნარინჯმა თავისი სათქმელი თქვა — ეს მიწა სწორედ ამ კულტურებისათვის იყო გაჩენილი.

სულ მალე მანდარინის პლანტაციებმა დაფარა სოფელი.

II

„იქაური მკვიდრნი ცხოვრობენ ჭაობში, წყალში იშენებენ სახლებს ხისას და წნელისას, არხებში უდგათ ხისაგან გაკეთებული ნავები და ამ ნავებით უვლიან გარშემო თავიანთ მამულებს“.

ჰიპოკრატე

ფართო, მოასფალტებული გზატკეცილი შემოდის სოფელში. თუმცა, რა სოფელი. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს პატარა, ლამაზ, სამხრეთულ საკურორტო ქალაქში იყო. სადღაა ჭოხმახები და წნელის ფატნები? ქვეითკირისა და აგურის კაპიტალური სახლები აღმართულან საგულდაგულოდ მოვლილ ეზოებში.

წერწეტა კვიპაროსებს, ნაძვებსა და მოშრიალე ტროპიკულ პალმებს აუმწვანებიათ აქაურობა. გაზაფხულზე თვითმფრინავის გუგუნს თუ გაიგონებ, ნუ გაიკვირვებ, — შვეულმფრენით ციტრუსებს წამლავენ აქაური მშრომელები. საღამოობით კი მეურნეობის კულტურის სასახლის გაჩახჩახებული დარბაზიდან მშვენიერი მელოდიები ატკბობენ ყურთასმენას.

როცა იმათ მათ „კუჩხა ბედინერსა“ თუ „მარებელს“ — ძალაუნებურად შენც გემღერება. გემღერება, რადგან ყველაფერი კარგი და მშვენიერი გადამდებია. და გსურს კვლავ ეკამათო ჰიპოკრატეს მისი სიტყვებისათვის — ხმა სხვებზე მეტად გაუთლელი აქვთო...

III

„ყველაფერს ერიდებიან, რაც კი დაღლით“.

ჰიპოკრატე

მის ბავშვობას ბავშვობა არც კი ეთქმოდა. თავისუფლებასთან ერთად რევოლუციამ მრავალი საზრუნავი მოიტანა. უჭირდა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანას, უჭირდა სოფელსაც.

ადრე დავაჟკაცდა გოგი ჩაჩიბაია. უკან დარჩა მამის ფიცრული სახლი, შუაცეცხლი, ბალახმორეული ორღობეების, სწავლისა და ძიების დაძაბული წლები...

1948 წელს, როდესაც გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის მთავარ აგრონომად განაწესეს, მეურნეობა უკვე არსებობის 17 წელიწადს ითვლიდა, მაგრამ ბევრი ვერაფრით დაიკვეხნიდა.

ამას იხიც დაემატა, რომ 1950 წელს მთელი პლანტაციები მკაცრმა ყინვამ დააზრო.

და ყველაფერი თითქმის თავიდან დაიწყო...

1959 წელს გოგი ჩაჩიბაია მეურნეობის დირექტორად დანიშნეს. ამ დროისათვის ციტრუსების კულტურა 124 ჰექტარზე იყო გაშენებული.

არც ისე დიდი დროა გასული მას შემდეგ, მაგრამ რამდენი კეთილი საქმის გაკეთება მოასწრო სოფელმა მისი თავკაცობით. ათი წლის მანძილზე მეურნეობამ ქვეყანას მისცა 8.000 ტონა მანდარინი, 10 მილიონი ცალი ლიმონი, 5 ათასი ტონა ფორთოხალი, თვითონ კი 8 მილიონი მანეთი მოგება დარჩა.

არა! აქ არავინ გაურბის შრომას, თავისუფალ, ადამიანთა ბედნიერებისათვის გამიზნულ შრომას.

IV

„ამ ქვეყნის ხილი ცუდი თვისებისაა, უგემური და წყლის სიუხვის გამო არასოდეს მწიფდება“.

ჰიპოკრატე

უჩვეულოდ ბარაქიანი შემოდგომა დაუდგათ შარშან კოხორელებს. ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლულმა რტოებმა თავი დახარეს. მანდარინის, ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფი ძვირფასი თვლებით ბრწყინავდა.

1.020 ტონის ნაცვლად 3.000 ტონა მანდარინი მოკრიფეს, 200 ტონის ნაცვლად — 500 ტონა ფორთოხალი, 150.000 ნაცვლად 500.000 ცალი ლიმონი.

შემოდგომის ბარაქაც ამას ჰქვია!

შარშან საბჭოთა კავშირის 30 ქალაქში გაიგზავნა კოხორელთა ნახელავი — თბილისი, მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი, ვილნიუსი, ტაშკენტი, ფრუნზე, სამარყანდი, ირკუტსკი... საპასუხოდ ათასი მადლობა, ათასი თბილი სიტყვა.

ახლა ელადელ ბრძენ ჰიპოკრატეს რომ ჰქონდეს საშუალება იხილოს და გასინჯოს ეს იშვიათი ნაყოფი, საუკუნეების წინათ ჩანაწერს, ალბათ, ასე შეასწორებდა: ამ ქვეყნის ხილი ძვირფასი თვისებისაა, გემრიელია, მზის სხივი ჩამდგარა ხეთა ნაყოფში...

ჯანო ჯანელიძე

აფხაზურმა ლიტერატურამ, რომელსაც ჩვენი საუკუნის დამდეგს საფუძველი ჩაუყარა ცნობილმა პოეტმა დიმიტრი გულიამ, მოკლე დროში კარგა ხანი. დღეს აფხაზი პოეტების ლექსები თარგმნილია ქართულ, საბჭოთა კავშირის და სხვა ხალხთა მრავალ ენაზე. მისი ტრადიციების განმტკიცებაში დიდმა ღვაწლი მიუძღვის ერთად, დიდი წვლილი შეიტანეს იუა კოლუნიამ, ლევარსა კვინიხიძემ, სანდრო ჭანბამ, ძიასაზიმ აბუმაამ, პლატონ ლომერიამ, მიხეილ ლაკერბაიამ და სხვებმა.

თანამედროვე მწერალთაგან გამოირჩევა ახალგაზრდა პოეტის ბაგრატ შინკუბას ლექსები და პოემები. მისმა პოემამ „ლტოლვის სიმღერა“ მკითხველთა დიდი მოწონება დაიმსახურა, იგი გამოსვლისთანავე ითარგმნა ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა ამ ნაწარმოების მიხედვით სპექტაკლი დადგა. ივანე თარგამ, რომელიც ცნობილია მაღალმხატვრული ლექსებითა და პოემებით, ამას წინათ გამოსცა რომანი „მზე ჩვენთან ამოდის“. იგი მკითხველმა სიყვარულით მიიღო. ფართოდ არის ცნობილი ალექსი ჯონუას, ჭიჭიკო ჯონუას, ნელი თარბას, კონსტანტინე ლომიას, ალექსი გოგუას შემოქმედება. გოლო წლებში დაწინაურდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები.

ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან აფხაზეთში ქართველი მწერლებიც — შოთა აკობია, დიმიტრი გიგიბერია, მოსე გვასალია, ზურაბ ნაყოფია, კლიმენტი გოგიავა, მიხეილ ჩაჩუა, ევგენი აქუბარდია, ეთერ ჯღამაძე-სამხარაძე, ხუტა გაგუა, გივი გერაია, გენო კალანდია და სხვები.

გამომცემლობა „ალაშარა“ მკითხველს ყოველწლიურად ასობით წიგნსა და ბროშურას აწვდის აფხაზურ, ქართულ და რუსულ ენებზე.

ნელი თარგა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

მე მიყვარს შენი დიდი წარსული,
მე მიყვარს შენი დღეცა და ხვალეც.
ხარ უკვდავების ქიმზე ასული
შენ — რუსთაველის მშობელო მხარევ!
მე შენს სიმაღლეს აქედან ვხედავ,
რამ წამომართა მთები ამხელა.
მიყვარხარ, რომ ხარ გმირების დედა
და საქართველო გქვია სახელად.
მე მიყვარს,
მიყვარს მთაწმინდა შენი, —
ჩაუქრობ სულთა წმინდა საუფლო...
ბარათაშვილი ღვთაებრივ ენით
ლოცულობს შენზე,
შენთან საუბრობს.
ქრის მთაწმინდაზე ნიავი ნელი, —
გრიბოედოვის სუნთქვაა თითქოს,
და ცვარი — ნინოს ობოლი ცრემლის —
კანკალებს,
თითქოს შეშრობას ითხოვს...
ამაღლდა შენი ლაჟვარდის ჭერი,
მწუხრმა შენი მზე ვეღარ დანისლა
და მხრებგაშლილი მიაბიჯებენ
შთამომავალნი ამირანისა.
ო, საქართველოვ!
მზითა ხარ სავსე,
ამაღლებული შენა ხარ ფიქრი,
და უკვდავების შორეულ გზაზე
ბარათაშვილის მერანიც მიჰქრის.
ო, საქართველოვ —
სიმღერავ სულის,
ო, საქართველოვ —
სინათლევ თვალის,
აფხაზეთივით გაშლილი გულით
გიმღერი ერთი აფხაზი ქალი.

თარგმნა მურმან ხურციძავამ

ალექსი ჯონუა

თ ბ ი ლ ი ს ი

კრძალვით ვეწვიე მთაწმინდის კალთებს,
დავეყრდენ მაღლით მხრებგაშლილ თბილისს,
ამ შთაგონების ცეცხლი აღმანთებს
და სასიმღერო ჟინი მომივლის.

დავეყრდენ გიგანტ სრა — სასახლეებს,
მთებს ეტოქება ქარხნების მილი,
ვხედავ გამზირზე დარაზმულ ხეებს,
მღიმარ სახეებს ეხვდები ღიმილით.

შიშველ ხმალივით ლაპლაპებს შტკვარი,
რა შეედრება მის სანაპიროს?
აქ გულღიაა ბუნების კარი,
აქ სიოს ცეკვაც არ გაიკვირვოთ.

აქ ამ ქალაქში, ერთ დროს პუშკინი
დასეირნობდა ფიქრთა ამარა,
მან სევდის ჰანგი, სულის ქვითინი
ღრმა დარიალში დაასამარა.

აქ ბარბაროსებს მედგრად ხვდებოდა,
და ზღვა სისხლს ღვრიდა ქართველი ხალხი,
კვდებოდა და თან იბადებოდა,
არ სწყვეტდა მკვიდრთა ქუდზე დაძახილს.
დღეს ეს ქალაქი, მზით დაფერილი,
ქართველი ხალხის მფეთქავი გული,
მღერის, გუგუნებს ძლევამოსილი,
თავისუფლებით გაბრწყინებული.

თარგმნა გიორგი ჟუჟიაშვილმა

გივი გერაია

პ ი რ ვ ე ლ ი თ ო ვ ლ ი

პირველი თოვლი ფარფატებს გარეთ,
პირველი თოვლი,
პირველი თოვლი,
საჩუქარივით არიგებს ქარი
თოვლის სიწმინდეს,
ურჟოლას და თრთოლვას.
რა კარგები ვართ ამწუთას ყველა,
რა მალები ვართ ამწუთას ყველა,
რა მართლები ვართ ამწუთას ყველა —
თოვლი მოდის და...
თოვლისთვის ვღელავთ.
დაგვიწყებია დღიური ზრუნვა,
დაგვიწყებია დღიური დარდი,
დაგვიწყებია, რომ მიწა ბრუნავს —
დრო უმოწყალოდ გარბის და გარბის.
უმტკივნეულოდ ვიცილებთ ნიღბებს.
ვერც ვამჩნევთ, წუხილს როგორ ვიცილებთ
ამღერებულა ხმამაღლა ვიღაც,
ვიღაცის თვალში ცრემლი ციმციმებს,
რა შეგძლებია, ფარფატა ფიფქო,
რა ძლიერი ხარ, დედა-ბუნებავ,
რა უცებ შესძელ, ფარფატა ფიფქო,
მთელი სამყაროს გადაბრუნება.
პირველი თოვლი ფარფატებს გარეთ,
პირველი თოვლი,
პირველი თოვლი!
ყველას თანაბრად გვირიგებს ქარი
თოვლის სიწმინდეს,
ურჟოლას და თრთოლვას.

მ ე გ ო ბ რ ო ბ ი ს მ ო მ ღ ე რ ა ლ ი



აფხაზი ხალხის საამაყო შვილი, ცნობილი პოეტი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე გიორგი შარვაშიძე (ჩაჩბა), საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის, სერგი მესხისა და გიორგი წერეთლის, ნიკო ლორთქიფანიძისა და ანტონ ფურცელაძის, მამია გურიელისა და იონა მეუნარგიას, თქდი სახოკიასა და ალექსანდრე ჭყონიას თანამედროვეს და თანამოკალმეს, საქართველო და აფხაზეთი ერთ მთლიან ოჯახად ჰქონდა წარმოდგენილი. „გიორგის აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა, — წერდა შალვა დადიანი, — აფხაზი ხალხის ღვიძლ შვილს გატაცებით უყვარდა და სწყალდა საქართველო, ქართველი ხალხი, მისი ლიტერატურა, ხელოვნება, გმირული წარსული. ქართული მისი მეორე მშობლიური ენა, დედაენა იყო“.

გიორგი შარვაშიძე, როგორც მისი თანამედროვეები მოგვითხრობენ, მეტად განათლებული, კულტურული, მიმზიდველი ვარეგნობის, მრავალი ენის ჩინებული მცოდნე, ყოფილა. ვისი შესანიშნავი ლექსები, პიესები, მახვილი პუბლიცისტური წერილები გაეცნობილია სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით. მოგვითხრობს აფხაზი და ქართველი ხალხების ისტორიულ ძმობასა და მეგობრობაზე.

გიორგი შარვაშიძის პუბლიკაციური წერილებიდან სპინტერესოა პასუხი, რომელიც მან გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტ ლორენცს გასცა. ამ უკანასკნელმა უდიერად მოიხსენია ქართველი ხალხი, მისი წარსული და კულტურა, და მასთან ერთად აფხაზი ხალხიც. გიორგიმ თავისი პასუხი გაუგზავნა გერმანული გაზეთის რედაქტორს, ხოლო პირი გამოაქვეყნა გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩში“. წერილში ნათქვამია: „ბატონ ლორენცს რომ უფრო ღრმად ჩაეხედა ქართველი ერის ცხოვრებაში, გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომელსაც იგი ასე ზიზღით მოეკერა, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები რაინდები არიან, რომლებიც მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რომ ისინი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში ბრძოლებში იღებენ კავკასიის კარიბჭესთან არა იმისათვის, რომ შეჭრილიყვნენ სხვის ჭალაკებში და გაეძარცვათ მათი სიმდიდრე, არამედ იმისათვის, რომ დაეცვათ საშობლო, მშვიდობიანი ცხოვრება; გაიგებდა აგრეთვე, რომ ქართველებს აქვთ მსოფლიო მნიშვნელობის უმდიდრესი ძველი ეპიკური ლიტერატურა, რომ ქართველი ხეფენებისა და ხალხის იერარქიაში გვხვდება გენიალური სიბრძნისა და არაჩვეულებრივი გმირობის ადამიანთა სახეები“.

დამოუკიდებელი კვლევისა და შესწავლის საგანია გიორგი შარვაშიძის თეატრალური მოღვაწეობა. იგი თამაშობდა სცენაზე, წერდა რეცენზიებს, მისი პიესები — „გიორგი მესამე“, „მომაკვდავნი სურათნი“, „ჯომლი უცენცხლოდ“ წარმატებით იდგმებოდა თბილისის, ქუთაისისა და სოხუმის სცენებზე.

გიორგი შარვაშიძე რეცენზიებში ქართული თეატრის რეპერტუარის ღრმა, კვალიფიციურ ანალიზს იძლეოდა, ამასთან საქმის ცოდნით, დიდი პროფესიული გემოვნებით აფასებდა სცენის დიდოსტატების — ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ნატო გაბუნია-ცაგარლის, კოტე მესხის, ლადო მესხიშვილის, ვალერიან გუნიას, კოტე ყიფიანისა და სხვათა არტისტულ ხელოვნებას. იგი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის მიერ შესრულებულ „მეფე ლირის“ ქართულ თარგმანს.

გიორგი შარვაშიძეს დიდი მეგობრობა აკავშირებდა აკაკი წერეთელთან. წრფელი გულით უყვარდა „გამზრდელის“ ავტორი, რომელმაც ასე ლამაზად უმღერა აფხაზის ვაჟკაცობას, ზნეობრივ სისპეტაკეს და სულიერ სიმაღლეს. ხოლო როდესაც ქართული პოეზიის სიამაყე დაეცა, აფხაზეთის ღირსეულმა შვილმა თავისი ქართველი ძმა და მეგობარი ასე დაიტირა:

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
შენისთანები არა კვდებიან,
სხეულით მხოლოდ შენ განისვენე,
ხოლო ზეციურ-უკვდავი ხმები
შენის ქნარისა ჩვენთან შთებიან!

გიორგი შარვაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა სამშობლოს, ერის სამსახურისა და სიყვარულის ბრწყინვალე მაგალითია. მან გულწრფელი სტრიქონებით უმღერა ქართველი და აფხაზი ხალხების მეგობრობას, ძმობას, ერთობას, თანამშრომლობას. ამაშია მისი შემოქმედების ცხოველმყოფელი ძალა, ამიტომ შეიყვარა იგი ასე მხურვალედ მკითხველმა.

ოთარ ჭურღულია,

დოცენტი, სოხუმის მაქსიმ გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე.

დ ა მ ბ ა ჩ ა მ უ მ ტ ყ უ ნ ა

ახალგაზრდა ულამაზეს ვაჟკაცს ადამური მშვენიერი სატრფო ჰყავდა. ქალიშვილს აიშა ერქვა. ამ გოგონას სილამაზეზე მთელი ის მხარე ლაპარაკობდა. მის სიტურფესა და სიმშვენიერეზე სოფელში სიმღერებს თხზავდნენ. ადამურის უმცროსი ძმა მახარი უფროს ძმაზე ულამაზო როდი იყო. ადამურივით გამბედავი და მარდი, მოჭრილთე და ბარაქის მატარებელი მთელ მხარეში სახელგანთქმულ ჭაბუკად ითვლებოდა. მახარს ორი წელი შეუსრულდა. ერთი სამწუხარო გრძნობა შეეპარა გულში თავისი ძმის საცოლე აიშა შეეყვარდა. ადამური რომ არ უფილიყო ამჭვეულად, მაშინ მახარს ვინ შეედრებოდა? ვინ არ იცის, რომ იგი ყველასათვის სანატრელ საქმროდ ითვლებოდა ამ მხარეში?! რას იზამ კაცი! მახარს მისივე ძმა, ტანწერწეტა და ბეჭგანიერი უმშვენიერესი ადამური გადაუდგა სასიყვარულო გზაზე. მახარს ისღა დარჩენოდა, ჩუმად, გულდათუთქვით, უიმედო ოხვრით გამოეთქვა თავისი გულისნადები. ადამურმა კარგად იცოდა, თუ რა ქარიშხალი ტრიალებდა უმცროსი ძმის გულში, მაგრამ არც ერთსა და არც მეორეს არასოდეს უფიქრიათ ამაზე საუბარი. მკაცრი კანონი აქვს მთას — ჭაბუკი კაცი, რომელსაც თავისი გულის საიდუმლო წამოსცდება, ვაჟკაცად არ ჩაითვლება. იმ წლებში დამპყრობელ უარაჩაელებთან ომი იყო გაჩაღებული. ახინი ვერაგულად უღელტეხილებიდან, ჭრდულად თავს დაესხნენ აფხაზეთს. ორივე ძმამ მთელი ღამე მოწინავე სამორიგეო სადარაჯოზე გაატარა.

დილა გათენდა.

მოდარაჯეები სხვებმა შეცვალეს და ისინიც დასასვენებლად სახელდახელოდ ამოთხრილ საერთო მიწურისაკენ წავიდნენ.

ორივე ძმა მთის ვიწრო ბილიკზე მიდიოდა. მთის დარბაისლური ჩვევით, უმცროსი წინ ვერ გადაუსწრებდა უფროსს. ამიტომ ადამური წინ მიდიოდა.

მკაცრმა და საშინელმა სურვილმა შეიპყრო მახარი. ძმაზე თავდასხმა განიზრახა.

— რა იქნება, ახლა თოფს თუ დავაგდო მას? — გაიფიქრა, — მხოლოდ ერთი გასროლა და იგი უფსკრულში გადაიჩეხება. ვერც ერთი სულიერი ამჭვეუნად ამ ამბავს ვერ გაიგებს, აიშა კი მე დამრჩება. ფიქრი და შესრულება ერთი იყო, მახარმა ელვის სისწრაფით გაიძრო ბუდიდან დამბაჩა და ფეროხილად შეაყენა ჩახმახი.

წყნარად და უდარდელად მიაბიჯებდა ადამური ბილიკზე, უმცროსმა ძმამ მძულვარე თვალები დაუმიზნა მის ბეჭებს.

წუთი და ჩახმახი დაეშვა...

მიხეილ ლაკერბაია

◆

საოცარი რამ მოხდა, სროლის ხმა არ გაუგია, მის ყურამდე მხოლოდ რკინის მსუბუქმა ჩხაკუნმა მიაღწია.

იგი სწრაფად მოტრიალდა. მოტრიალდა და ყველაფერს მიხვდა. ათრთოლებული მახარი საცოდავად მალავდა დამბაჩას ბუდეში. ადამურმა არაფერი შეიმჩნია, იგი დინჯად და წყნარად წავიდა თავისი გზით.

ჩუმად, სიტყვის უთქმელად შეევდნენ მიწურში. მოშიებული ძმები ხარბად და მადიანად შეუდგნენ ჭამას.

საუზმე დაამთავრეს. ახლა დასვენება იყო საჭირო. ადამურმა, სანამ დასაძინებლად მიწვებოდა, სამგზავრო ჩანთა გახსნა და იქიდან თავისი დამბაჩა ამოიღო. იგი წუხარად დააჩერდა ძმას და იარაღი გაუწოდა:

— აიღე, მახარ! საიმედოა! არ გიმტყუნებს.

თარგმნა

მამია ასათიანმა



საბჭოთა ხალხის მეგობარი

ამ ადამიანს საკუთარმა ვაჟკაცობამ რჩეულთა ხვედრი არგუნა.

ხალხის რჩეულნი კი ყოველთვის ისინი ყოფილან, ვისაც ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის გაკეთება და საჭიროებისას მამულისათვის თავის დადება შეეძლო.

მელიტონ ქანთარიას მკერდზე გმირის ვარსკვლავი კიაფობს. ადამიანებმა იციან, როგორ დაიმსახურა ეს დიდი ჯილდო ქართველმა ვაჟკაცმა და თითქოს ელვარება ემატებაო ამ ვარსკვლავს.

1945 წლის გაზაფხული.

დასასრულს უახლოვდება კატაკლიზმუხვრელი და დამანგრეველი ომი.

მდინარეების — ნეისესა და შპრეს გასწვრივ საბჭოთა მეომრები უკანასკნელი შტურმისათვის ემზადებიან.

16 აპრილი. დაიწყო გენერალური შეტევა ბერლინზე. ეთერშიც გადავიდნენ უკრაინისა და ბელორუსიის ფრონტების ჯარები. მათ ჩრდილო აღმოსავლეთისა და სამხრეთის მიმართულებით გაანადგურეს მტრის სიმაგრეები და ბერლინში შეიჭრნენ.

რაიხსტაგი სულ ახლოს არის. ამ ბუნაგიდან დაიწყო მტერმა ის გამანადგურებელი ომი, რომელმაც მოსრა ევროპის ქვეყნების ქალაქები და სოფლები, რომელმაც შეიწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე.

ხომ ახლოს იყვნენ ჯარისკაცები საბოლოო მიზანთან და ასე მაინც არასოდეს ანთებულან გამარჯვების წყურვილით.

რაიხსტაგის დაკავება ზინჩენკოს მსროლელთა პოლკს დაევალა. იმ ჯარისკაცებს დაევალათ, რომლებიც სამშობლოდან წამოსულები ფეხით მიადგნენ ბერლინს.

როცა პოლკმა ბრძოლებით გაიკაფა გზა რაიხსტაგისკენ და დამაგვირგვინებელ შტურმს იწყებდა, მეთაურმა ბრძანა ორი გაბედული მებრძოლი შეერჩიათ.

თუმცა მთელ პოლკში ვერავისზე იტყოდით ლაჩარიაო, რჩეულთა შორის რჩეულნი მაინც იყვნენ. მეთაურის წინაშე მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია წარსდგნენ. ბრძანება მოკლე იყო და ნათელი: სამშობლოს, ხალხის სახელით ევალებოდათ გამარჯვების დროშის აღმართვა რაიხსტაგის გუმბათზე.

1945 წლის 30 აპრილი, დღის 12 საათი. საბჭოთა მეომრები მცელავი ცეცხლით შეიჭრნენ რაიხსტაგში. ეკვიების თავსხმაში მიხეილს და მელიტონს გამარჯვების დროშა მიჰქონდათ. ამ დროშას წერტილი უნდა დაესვა მუხანათური ომისათვის. ეს დროშა საბჭოთა ხალხის გმირობისა და თავდადების, ვერაგ მტერზე გამარჯვების სიმბოლო უნდა ყოფილიყო და ორ რჩეულ ვაჟკაცს ხელიდან ხელში გადაჰქონდა ალისფერი დროშა.

14 საათსა და 25 წუთზე, როცა ჯერ კიდევ გრძელდებოდა რაიხსტაგის შტურმი, ეგოროვმა და ქანთარიამ გუმბათზე გამარჯვების დროშა აღმართეს.

ხალხისა და სამშობლოს სურვილი აღსრულდა. რაიხსტაგზე გამარჯვების დროშა ფრიალებდა, რომელიც ქართველმა ვაჟკაცმა აზიდა. 8 მაისის ბრძანებულებით რაიხსტაგის შტურმის სხვა მონაწილეებთან ერთად მელიტონ ქანთარიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

დამთავრდა ომი და მელიტონ ქანთარია მშობლიურ ოჩამჩირეს დაუბრუნდა. ვაჟკაცი ახლა მშვიდობიან შრომაში ჩაება. მუშაობდა მშენებლობაზე, ტყვარჩელის მაღაროებში, ახლა ხელმძღვანელ სამეურნეო სამუშაოზეა.

ადამიანები აფასებენ მის მამაცობას. მელიტონ ქანთარია სკოლების, კოლმეურნეობების, საწარმოების ხშირი და სასურველი სტუმარია. მის საუბრებს სამამულო ომში საბჭოთა მეომრების მამაცობასა და ვაჟკაცობაზე ყოველთვის დიდი ინტერესით ისმენენ.

რაიხსტაგის ვაჟკაცები ხშირად ჩამოდიან აფხაზეთში, ნახულობენ თავიანთ სახელოვან ძმასა და თანამებრძოლს მელიტონ ქანთარიას, იგონებენ იმ ქარიშხლიან დღეებს, გმირებს, რომლებმაც თავი შესწირეს მამულს. პირველი სასმისით მათ სახელებს ადიდებენ, ხოლო მეორეთი მშვიდობას ადღეგრძელებენ. მშვიდობის ფასი ხომ ომის ცეცხლში ნაწრთობმა ვაჟკაცებმა კარგად იციან.

გალაქტიონ წირღვავა

სურათზე: საბჭოთა კავშირის გმირები მელიტონ ქანთარია (მარჯვნივ) და ვარლამ გაბლია ირაკლი ჭოხონელიძის ფოტო



ეს სურათი არც ისე დიდი ხნის წინათ ქალაქ სოხუმშია გადაღებული. მაშინ საბჭოთა კავშირში სტუმრად იმყოფებოდა საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის გენერალური მდივანი პიოტრ ჩუდნოვსკი (სურათზე შუაში) და უცხოეთის სხვადასხვა სავაჭრო ფირმის წარმომადგენლები.

სტუმრები თბილისიდან საქართველოს სავაჭრო პალატის აფხაზეთის განყოფილებას ეწვივნენ. მასპინძლებმა — განყოფილების მმართველმა ნიკოლოზ კობახიამ და მისმა მოადგილემ რომან აგრბამ სტუმრებს გააცნეს საქართველოს შავიზღვისპირეთის თვალწარმტაცი კურორტები, პროდუქცია, რომელიც აფხაზეთიდან საექსპორტოდ იგზავნება საზღვარგარეთ, საფრანგეთის წარმომადგენლები განსაკუთრებით მოხიბლნენ ბიჭვინთით, სურვილი გამოთქვეს შეიძინონ აფხაზური ხილი, თამბაქო, ჩაი, ბეწვეული და... აჯიკა.

ჩვენთან საუბარში რომან აგრბამ განაცხადა, რომ აჯიკაზე მოთხოვნა დღითიდღე იზრდება, რომ ამჟამად სოხუმში შენდება ქარხანა, რომლის პროდუქცია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაიგზავნება.


საქართველოს სავაჭრო პალატის აფხაზეთის განყოფილებამ შარშან სტუმრები მიიღო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან. იგი მასპინძლობდა საერთაშორისო სამედიცინო სიმპოზიუმს, რომლის დროსაც ბულგარელმა ექიმებმა სოხუმში მოაწყეს თავიანთი ქვეყნის მედიკამენტების დემონსტრირება.

მსგავსი სიმპოზიუმები სოხუმში წლეულსაც გაიმართება, განზრახულია მოეწყოს აგრეთვე დიდი საავაჭრო გამოფენა.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე

მზის სიცილი

პიტალო კლდეს მწვანე სურო
დალალებად ჰკიდია,
შორს გაწვდილი კატაბარდა
თითქოს ბეწვის ხიდია
და ნისლები, ვით მგზავრები,
მოდიან და მიდიან...
სინანულით სანამ ვუმზერ
დეკას, ფეხით მითელილს
სიომ ლერწმის სალამურზე
აათრთოლა თითები...
ხვართქლას, გართხმულს პანტის ძირას,
ნამავს შხეფი ჩანჩქერის.
მზე იცინის და ტყის ცირას
შიგ თვალებში ჩასცქერის.
ქარი გზასთან რად დამიხვდა?
რტოებს რად ხრის კაპარი?
მგზავრმა, როგორც კვეს-აბედი,
ფიქრი ფიქრებს გავკარი,
აი თურმე სად ამიხდა
პაპის თქმული ზღაპარი.



ხალხის მსახური

„წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი აფხაზეთში 2 პროცენტს შეადგენს“. ეს სავალალო სტატისტიკა ამ კუთხის არც ისე შორეულ წარსულს განეკუთვნება — ნახევარი საუკუნის წინათ სანთლით რომ გეძებნათ მთელ ამ კუთხეში თითო-ოროლა კაცს თუ შეხვდებოდით, წიგნის წაკითხვა ან წერილის დაწერა რომ სცოდნოდა, და აი როდესაც შრომელი ადამიანები თავიანთი ბედის გამგებელნი გახდნენ, წიგნსაც სხვა გულითა და მონდომებით მოჰკიდეს ხელი. გავიდა სულ რაღაც 12 წელიწადი და აფხაზეთმა ქვეყანას ამცნო — ჩვენში წერა-კითხვის უცოდინარობა ლიკვიდირებულიაო.

თუ როგორ აღიზარდა აფხაზეთში განათლებული თაობა, ამის შესახებ გვესაუბრება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოსა და აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი ძიძარია.**

● **ბატონო გიორგი, გთხოვთ ორიოდე სიტყვით გვიამბოთ, რა დონეზეა დღევანდელ აფხაზეთში სახალხო განათლების საქმე?**

ვიდრე დღევანდელ დღეზე ვიტყოდე რამეს, შევეხები წარსულსაც. 1904 წელს სოხუმის გუბერნიაში (ასე ეწოდებოდა მაშინ აფხაზეთს), სახალხო განათლებისათვის გათვალისწინებული იყო 800 მანეთი. 1914-1915 სასწავლო წელს აფხაზეთში იყო რამდენიმე ათეული დაწყებითი და მხოლოდ 2 სამუალო სკოლა. რა თქმა უნდა, სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი ჩვენში იმ დროისათვის საერთოდ არ არსებობდა, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო და ბოლოს კიდევ ერთი ფაქტი — 1901-დან 1914 წლამდე აფხაზეთში მხოლოდ 4 სკოლა აშენდა.

რაც შეეხება სახალხო განათლების დღევანდელ დონეს — ამჟამად აფხაზეთში 475 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და სკოლა-ინტერნატია, რომლებშიც 108 ათასი მოსწავლე სწავლობს.

სწავლა-აღზრდის საქმეს ემსახურება 7.861 მასწავლებელი და აღმზრდელი, რომელთა უმეტესობას უმაღლესი განათლება აქვს.

თუ ადრე აფხაზეთში მხოლოდ ერთი აფხაზური სკოლა იყო, ახლა 98 აფხაზური სკოლა გვაქვს.

● **როგორია აფხაზეთში მეცნიერების განვითარების დონე?**

ამჟამად აფხაზეთში 15 სამეცნიერო დაწესებულება მუშაობს, 6 საშუალო სპეციალური და 2 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც 8.500 სტუდენტი სწავლობს. სოხუმში საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს აქვს საყრდენი პუნქტი, სადაც ახალგაზრდები უმაღლეს განათლებას იღებენ. უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში 700-ზე მეტი მეცნიერ მუშაკი მრეცხავნობს. მათ შორის 30 მეცნიერების დოქტორია, ხოლო 308 — მეცნიერების კანდიდატი.

● **ბატონო გიორგი, თქვენ, სამეცნიერო მუშაობის გარდა, საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწევით, ხელმძღვანელობთ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების აფხაზეთის განყოფილებას. როგორია თქვენი საზოგადოების საქმიანობა?**

ვვარაუდობთ, რომ საზღვარგარეთ დაახლოებით 150 ათასი აფხაზი ცხოვრობს.

რას ვაკეთებთ დედასამშობლოსთან მათ დასაახლოებლად? პირველ რიგში, ვცდილობთ ყველას, ვისთანაც მიმოწერა გვაქვს, მივაწოდოთ აფხაზურ ენაზე გამოცემული ლიტერატურა, გავაცნოთ ჩვენი ხალხის წარსული, ბედნიერი დღევანდელი დღე, დიადი მომავალი. საზღვარგარეთ, ლიტერატურის გარდა, გზავნით ფირფიტებს, რომლებზეც ჩაწერილია აფხაზური ხალხური სიმღერები და თანამედროვე მელოდიები.

ამის გარდა, ბევრი მსმენელი ჰყავს რადიოგადაცემებს აფხაზურ ენაზე, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტულ აფხაზებს თავიანთი სამშობლოს ამბებს მოუთხრობს.

● **როგორ აფასებენ საზღვარგარეთ მცხოვრები აფხაზები საზოგადოების საქმიანობას?**

მე ასე ვიტყოდი — მათი უმეტესობა ჩვენს უანგარო სამსახურს მადლიერებით ეკიდება. ხშირად მოგვდის წერილები, რომლებშიც მადლობას გვიხდიან წიგნებისათვის, რადიოთი მოსმენილ ამა თუ იმ გადაცემისათვის... თითოეულ მათგანს ახარებს აფხაზებისა და ქართველების ასეთი მეგობრული ცხოვრება, რადგანაც იქ, ემიგრაციაში, როგორც წესი, ისინი ერთი მიწის შვილებად იწოდებიან...

● **როგორია საზოგადოების მუშაობის პერსპექტივები?**

მომავალში კიდევ უფრო საინტერესოს გავხდით ჩვენს რადიოგადაცემებს, მეტ ლიტერატურას მივაწვდით უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს. უფრო ხშირად დავბეჭდავთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე სამშობლოსმოწყვეტილ შვილთა წერილებს, ლექსებს, მოთხრობებს. განზრახული გვაქვს სამშობლოში მოვიწვიოთ ემიგრანტთა ოჯახები, ნორჩ აფხაზებს კი ჩვენს კურორტებზე უფასოდ დასვენებას შევთავაზებთ. ერთი სიტყვით, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ, ვისაც ამის სურვილი ექნება, არ დაკარგოს სამშობლო.

საუბარი ჩაიწერა რევაზ მაჭავარიანმა

მინაწერი:

პროფესორი გიორგი ძიძარია დაიბადა 1919 წელს სოფელ ლიხნში. სწავლის დაუოკებელმა სურვილმა სოხუმში ჩამოიყვანა. 1939 წელს წარმატებით დაამთავრა მოსკოვის ისტორიის, ლიტერატურისა და ფილოსოფიის ინსტიტუტი. 1946 წელს მოიპოვა მეცნიერების კანდიდატის ხარისხი, ხოლო 1958 წელს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი წლების მანძილზე სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი იყო. მისი ხელმძღვანელობით მრავალმა აფხაზმა მეცნიერმა დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ხალხის უანგარო მსახურია. ცდილობს ყველას, სიკეთისაკენ უბიძგოს, კეთილი საქმის გაკეთებაში დაეხმაროს.

და კიდევ ერთი, მეცნიერის ოთხივე შვილი — ანა, ასტამური, გუდისა და ატგური სამშობლოს ღირსეული მოქალაქეა.

ტრენი არიან. ტოლნი არიან

ვლადიმერ მარშანიას ჭიდაობას 1965 წელს ტყვარჩელში ეზიარა. ის იყო, დიდ სარბიელზე პირველი ნაბიჯები გადადგა და სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. სპორტი არც იქ მიუტოვებია. ტყვარჩელელი ფალავანი თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის ზედიზედ სამჯერ გახდა უკრაინის ჩემპიონი საშუალო წონაში.

მახსოვს, ერთმა ცნობილმა მოჭიდავემ იხუმრა: — ხშირად მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვება უფრო ადვილია, ვიდრე საქართველოს ჩემპიონისაო... ეს ნათქვამი სიმართლესთან საკმაოდ ახლოს არის. ჩვენს რესპუბლიკას ერთსა და იმავე წონაში რამდენიმე ტოლფასოვანი მოჭიდავის გამოყვანა შეუძლია, რომელთაგანაც საუკეთესოს ამორჩევა თვით გამოცდილ სპეციალისტებსაც უჭირთ.


ასე დაწერს ვლადიმერ მარშანიას წონაში — უკრაინის სამგზის ჩემპიონის სამხრეთში დაბრუნების შემდეგ საითაც შეიქმნა რესპუბლიკის ნაკრებში მოხვედრა.


— სულ მალე საქართველოს პირველობა გაიმართება, — გვეუბნება ვლადიმერი, — იქ გადაწყდება, ვინ დაიცავს რესპუბლიკის ღირსებას საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე, და თუ ეს მე ვიქნები, რაც ჩემი ყველაზე დიდი ოცნებაა, ყველაფერს გავაკეთებ, რათა შინ გამარჯვებული დავბრუნდეო...

მომავალ გამარჯვებებზე ოცნებობს ვლადიმერის მეგობარი რუსლან თარქილიც. საქართველოს რკინორდსმენი ჭაბუკთა შორის ახლა უფროსებთან შეჭიდებას აპირებს. ძალოსნობაში ჩახედულმა კაცმა იცის, რას ნიშნავს მიაღწიო წარმატებას ძალოსნობაში, თუ შენ ნახევრად მძიმე წონაში გამოდიხარ. ამ წონის გოლიათები ხომ ასე მიუახლოვდნენ 600-კილოგრამიან ზღვარს. იტყვით ძნელიაო, მაგრამ რუსლანი სიძნელეს არასოდეს გაურბის. საქმე ის არის, იქ გაიმარჯვო, სადაც მოწინააღმდეგენი ძლიერები არიანო, — ხშირად უთქვამს რუსლანისათვის პაპა მახტის. და აი საუკუნეს მიღწეული მოხუცი, როდესაც შვილიშვილს სასახარეზოდ გაისტუმრებს, გაზეთებს ათვალიერებს „ბაღშვის“ გამარჯვება ყველაზე ადრე უნდა შეიტყოს, რომ შემდეგ თანატოლებს მოუყვეს — ნახეთ, რა ბიჭი მეზრდებაო...

იზრდება ორი სპორტსმენი აფხაზეთში. ტოლები არიან, მკლავი და მუხლი ორივეს ძლიერი აქვს, გული კი ერთნაირად კეთილი, ორივე ერთნაირი გულმოდგინებით ემზადება დიდი გამარჯვებისათვის.

მერაბ კომახიძე





სურათებზე: ვლადიმერ მარშანია (ზევით) და რუსლან თარქილი.

სპორტი

ვინც გვასახელა

ავთანდილ ღოღობერიძე, ვლადიმერ მარღანია, ალექსანდრე სანაია, ვლადიმერ ბარქაია, ნიაზ ძიაშიპა, სერგო ჯაიანი, მიხეილ ჩაჩბა, ნიკიტა სიმონიანი, ვიქტორ სანაევი... აი არასრული სია იმ სპორტსმენებისა, რომლებმაც ფეხი აიდგეს აფხაზეთის მიწაზე და მთელ მსოფლიოში გაითქვეს სახელი. დიახ, შეუდარებელი იყვნენ მინდორზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა უცვლელი კაპიტანი ავთანდილ ღოღობერიძე და მოსკოვის „სპარტაკის“ ცენტრალური თავდამსხმელი ნიკიტა სიმონიანი. დღესაც ლეგენდები დადის მეკარეების — ვლადიმერ მარღანიასა და ალექსანდრე სანაიას ოსტატობაზე. ვისაც ნიაზ ძიაშიპას ან ვლადიმერ ბარქაიას თამაში უნახავს, დამეთანხმება, რომ ასეთი მაღალი კლასის ფეხბურთელები ხშირად როდი გვხვდებიან მწვანე მინდორზე. ტანვარჯიშის მოყვარულთ მუდამ ხიბლავდა სერგო ჯაიანის ოსტატობა, ხოლო წყალში მხტომელ მიხეილ ჩაჩბას არა ერთხელ უსახელებია საქართველო საკავშირო თუ საერთაშორისო ასპარეზობებზე. და ბოლოს, აფხაზეთი სამართლიანად ამაყობს მექსიკის ოლიმპიურ ასპარეზობათა გმირის, მსოფლიო რეკორდსმენის ხოხუმელი ვიქტორ სანაევის წარმატებებით.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ აფხაზეთის სპორტული კუთხეა, აფხაზები უძველესი დროიდან ჩინებულ ცხენოსნებად ითვლებოდნენ. ეს ტრადიციები დღესაც გრძელდება — გუდაუთელი, გალელი, ოჩამჩირელი მხედრები ახლაც არავის უდებენ ტოლს. მოჯირითეებს არც ფეხბურთელები, მძლეოსნები, მოჭიდავეები, ნიჩბოსნები, ძალოსნები ჩამორჩებიან...

რა თქმა უნდა, ასეთი წარმატებები წარმოუდგენელი იქნებოდა კეთილმოწყობილი სპორტული ბაზების, კვალიფიციური მწვრთნელებისა და აღმზრდელების გარეშე. ამჟამად აფხაზეთში 6 დიდი სტადიონი და 774 სხვადასხვა სახის სპორტული მოედანია.

ახლა ჩვენი სპორტსმენები საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის ემზადებიან. მათი პირველი მიზანია მოხვდნენ საქართველოს ნაკრებში, ხოლო შემდეგ — რაც შეიძლება მეტი ქულა შესძინონ რესპუბლიკას.

ჯანსულ გუბაზი,
აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

მიზანში...

ოდესაც კარლო დარასელიას ვკითხე რამ განაპირობა მისი არჩევანი, რამ აგაღებინა თოფი ხელში, ფეხბურთელი, ან ცხენოსანი რად არ გამოხვედი-მეთქი, გაიცინა და მიპასუხა: თავდაპირველად არც მე მეგონა, სასტენდო სროლას რომ დავუკავშირებდი ჩემს სპორტულ ცხოვრებას. მძლეოსნობით ვიყავი გატაცებული, მაგრამ ხომ გაგიგონიათ — კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. სანადიროდ მეგობრებთან ერთად წასული შინ ყველაზე ხელხვავიანი ვბრუნდებოდი. მონადირეების ამბავიც ხომ იცით — ჩვენთან რომ „ჩემპიონობ“ წადი აბა თოფის ნამდვილ მსროლელებს შეეჯიბრეო. მეც მივედი და შევეჯიბრე. 100 მფრინავი თეფშიდან 95 დავამსხვრიე. ეს კი სტენდზე პირველად მისული კაცისათვის ისეთი უჩვეულო აღმოჩნდა, რომ ეჭვი შეეპარათ, შემთხვევითი ხომ არ იყოო, და მთხოვეს აბა ერთი კიდევ გაისროლეო. მეორე ცდაზე ასიდან მხოლოდ ოთხი სამიზნეს ავაცდინე. იმ დღის შემდეგ მესტენდური გავხდი... ის დღე კი 1958 წლის 5 მაისი გახლდათ.

უკვე მომდევნო წლიდან კარლო დარასელია ზედიზედ ისაკუთრებს საქართველოს პირველობას.

1963 წელს სოხუმელი ჭაბუკი საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პრიზიორი ხდება, 1966 წელს კი ერთ-ერთ შეჯიბრებაზე საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა — 200 სამიზნიდან 195 დაამსხვრია. თუ რას ნიშნავს, ატარებდე სასტენდო სროლაში საერთაშორისო სპორტის ოსტატის წოდებას, მოვიყვან ასეთ მაგალითს: როდესაც ტოკიოს ოლიმპიურ ასპარეზობაზე რუმინელმა დუმიტრესკუმ ჩემპიონის სახელი მოიხვეჭა, მან 200 სამიზნიდან მხოლოდ 193 დააზიანა.

ყველაზე ხელხვავიანი სოხუმელი სპორტსმენისათვის 1967 წელი აღმოჩნდა. ამ წელს სასტენდო სროლაში საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე საქართველოს ნაკრებმა გუნდმა, რომელშიც სხვებთან ერთად კარლო დარასელიაც გამოდიოდა, ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. პირადად მან 200 სამიზნიდან მხოლოდ ორს ააცდინა.

უბედურ შემთხვევას შეეძლო სამუდამოდ ჩამოეშორებინა კარლო დარასელია სპორტისაგან — 1969 წელს იგი ავტოკატასტროფაში მოჰყვა, მაგრამ მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, პროფესორ ოთარ ღუდუშაურის ოქროს მარჯვენამ იხსნა. ფეხზე წამოაყენა, სპორტს დაუბრუნა...

და აი 1970 წელს გამართულ საბჭოთა კავშირის პირველობაზე წყვილ სამიზნეებზე სროლაში კარლო დარასელიამ ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

შეკითხვაზე, თუ როგორია მისი გეგმები, კარლომ მიპასუხა: — უახლოესი გეგმა ასეთი გახლავთ — მინდა ჩემს მეგობრებთან ერთად კვლავ მოვიგო სპარტაკიადის ოქროს მედლები, ცოტა შორეული კი — ჩემს ქალიშვილ ნანას შევაყვარო ნადირობა და, რა თქმა უნდა, გავუყენო მამის კვალს — სამშვიდობოდ გასროლილი ტყვია ყოველთვის მოახვედროს მიზანს...

ანზორ ანჩაბაძე



მექსიკის ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი სამაგ ხტომაში ვიქტორ სანაევი იმ სპორტსმენთა რიცხვს განეკუთვნებოდა, მხოლოდ გამარჯვება რომ სდევთ თან. ძნელია გაიხსენო ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობა მიუღია სოხუმელ სპორტსმენს და პირველი ადგილი სხვისთვის დაუთმია.

სულ ახლახან კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა ვიქტორმა. „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო ტურნირში, რომელიც მოსკოვში, ნორჩ პიონერთა სტადიონის მანეჟზე მიმდინარეობდა, მსოფლიოს რეკორდსმენი ყველაზე შორს — 16 მეტრსა და 54 სანტიმეტრზე გადახტა. ეს შედეგი ნახევარი მეტრით მეტია სეზონის საუკეთესო შედეგზე, რომელიც ამერიკელ ტიფს ეკუთვნოდა.

სურათზე: ვიქტორ სანაევი

მაიმუნების სანაშენე

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. სამხედრო მედიცინის აღმავლობისათვის აუცილებელი გახდა შექმნილიყო მაიმუნების სანაშენე. უჭირდა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ ადამიანის კეთილდღეობაზე ფიქრი გადაუდებლად მოითხოვდა ამ მეტად ძვირად ღირებული ცხოველების უცხოეთში შეძენასა და მოშენებას.


გამოიძებნა მაიმუნების შესაძენი რამდენიმე ათასი დოლარი. თითქოსდა ჩანაფიქრის განხორციელებას წინ არაფერი უნდა დასდგომოდა, მაგრამ სად უნდა დაებინავებინათ ისინი, სად უნდა შექმნილიყო მაიმუნების სანაშენე? არჩევანი სოხუმზე შეჩერდა.

დასაწყისი ჯარგს არაფერს უჭადდა ამ საშვილიშვილო საქმეს. მაიმუნების უმეტესი ნაწილი დაიხოცა, თითქოს ყველაფერი წყალში გადაყრილი აღმოჩნდა. მაგრამ ენთუზიაზმმა, საქმის სიყვარულმა თავისი გაიტანა, სანაშენე გადარჩა და ადამიანის სამსახურში ჩადგა, ახლა იგი საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტად იწოდება და იქ ადამიანის ყველაზე მონათესავე ცხოველების 2.000 ოჯახი ცხოვრობს.

43 წელიწადია, რაც მეცნიერები ამ უჩვეულო ქალაქში აკვირდებიან, ფიქრობენ, აყენებენ ცდებს, რათა გამოძებნონ ადამიანის დაავადებისა და მკურნალობის გზები, რისთვისაც სხვადასხვა ჯიშის მაიმუნებს იყენებენ.

ამ სურათზე ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მაიმუნების სანაშენეში ვიქტორ სანაევის სტუმრობა აღბეჭდა.





სურათზე: (მარცხნიდან) ნიკოლოზ ელიავა, მისი მეუღლე ელენე, შვილიშვილი მაიკო, შვილი ზურაბი, რძალი ნათელა.

იოსებ ალექსიძის ფოტო

კარგია საკუთარი ჭერი

ვაგრაში არის დიდი მგოსნის ნიკოლოზ ბარათაშვილის უჩა. იგი ზღვის პირას დაშვებულ მთის კალთაზეა შეჭრილი. ჩემი მასპინძელი ამ ქუჩაზე ცხოვრობს. მას ორი სახელი ჰქვია: ნიკოლოზი და ხუტა. მეორე სახელი შინაურებს შეურქმევიათ. გვარად ელიავაა.

ამ კაცმა 28 წელიწადი იარა უგზო-უკვლოდ. 28 წელიწადი სდევდა ავბედობა, სდევდა და ახლა წარსულის განცდებით ოდნავ აღელვებული მესაუბრება:

ბედნიერი კაცი ვიყავი, მყავდა ცოლ-შვილი. მეგობრები და მეზობლები მაფასებდნენ. რუსულ ენასა და ლიტერატურას ვასწავლიდი სკოლაში. ომმა უველაფერი უკუღმა დაატრიალა. ჩემი მუუდრო ოჯახიც არია. ჯარში გამიწვიეს და ქერჩის ორომტრიალში მოვუვევი. ჩემს თავზე წისქვილის ქვა არ დატრიალებულა, თორემ არა დამკლებია რა. ტყვეობა, ცემა-ტყეპა, შიმშილი და სიდუხჭირე ჩემი თანამგზავრი გახდა. ერთხანს პოლონეთში ტყვეთა ბანაკებში გვტანჯავდნენ. ხსნა არსაიდან ჩანდა და ილაჯგაწყვეტილები იმასღა ვფიქრობდით, თავი როგორმე გაგვეტანა. სიკვდილი კი ფხიზლად გვდარაჯობდა, ზედიზედ მეცლებოდნენ ხელიდან მეგობრები. ვიღაცამ დამაბეზღა — ებრაელიაო. დასახვრეტად გამიყვანეს. ძლივს დავამტკიცე ჩემი ქართველობა. კიდევ ერთელ ჩამიარა სიკვდილის აჩრდილმა, კიდევ ერთხელ გავიარე ბეწვის ხიდი.

როდესაც ომი დამთავრდა, იტალიაში ვიყავით. ამ დღეს უველანი მოუთმენლად ველოდით. შინ დაბრუნება გვსურდა, მაგრამ... სამშობლოს ნაცვლად არგენტინაში აღმოვჩნდით. თავდაპირველად შევეცადეთ ახალი ცხოვრება დაგვეწყო. არაფერი გამოგვივიდა. ნიადაგ სამშობლოზე ვფიქრობდით, გვესიზმრებოდა სახლ-კარი, ცოლ-შვილი. როგორც კი საბჭოთა კავშირში დაბრუნებაზე დავიწუებდით ლაპარაკს, უველთვის აღმოჩნდებოდა თითო-ოროლა „მრჩეველი“ — არ გაბედოთ, ჩასვლისთანავე დაგიჭერენ, ჩამოგახრჩობენო...

ამ მღელვარებაში გადიოდა დრო. მას შეუბრალებლად მიჰქონდა ჩვენი ახალგაზრდობა, ძალ-ღონე, უცხო ქვეყანას რომ ვახმარდით.

1964 წელს ჩვენი ინერტული და სევდისაგან დამძიმებული სამყარო უცებ გამოცოცხლდა. ბუენოს-აირესსაც თითქოს სხვა ელფერი დაედო. ქართველობამ თავი მოვიყარეთ. ერთიმეორეს ხელი გავუმართეთ, ბილეთები შევიძინეთ და როცა არგენტინელ მაყურებელთა ოვაციები საკონცერტო დარბაზს აზანზარებდა, ჩვენ სადღაც სიღრმეში მიკარგულები ვტიროდით.

ცეკვავდნენ ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის გამოზრდილი გოგო-ბიჭები. და იყო წუთები, როცა თავი სამშობლოში გვეგონა. მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველო პირველად ვიხილეთ ასე ახლოს.

ჩემი მეგობრები შეხვდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელებს. მათ ილიკო სუხიშვილმა უთხრა: დამიჭერეთ, ძმებო, დაბრუნდით სამშობლოში, იქ თქვენ არავინ გერჩითო.

ამის გაგონება იყო და სამშობლოში დაბრუნებაზე ფიქრი ისე მომეძალა, ლამის გავთავდი კაცი. ვატყობდი, რომ ამხანაგებიც ჩემ დღეში იყვნენ. 1965 წლის დამლევს საქართველოსაკენ პირველად შოთა თარხნიშვილი გამოემგზავრა. მან თითქოს მოჯადოებული ზღუდე გადალახა, რომელიც სამშობლოსაკენ მიმავალ გზას გვიკეტავდა. მერე სამშობლოში დაბრუნდა პოლიკარპე დგებუაძე. გამომგზავრებისას გადავკოცნე და შენი იმედი მაქვს-მეთქი, დავუბარე. წერილი გამოვატანე დასთან. ადგილს ვერსად ვპოულობდი, გულსაც ვეღარაფერს ვუდებდი. მალე ბარათი მივიღე, თამარის ხელი მაშინვე ვიცანი, მწერდა: გვჯერა და არცა გვჯერა, რომ ცოცხალი გვყავხარო. დისგან გავიგე, რომ ჩემი მეუღლე ელენე გაგრაში ცხოვრობდა, ხოლო ზურიკო, რომელიც ორი წლისა დავტოვე, დავაუკაცებულიყო.

აბა, რაღა გამაჩერებდა უცხო ქვეყანაში. საბჭოთა საელჩოში მივედი და სამშობლოში დაბრუნების ნება ვითხოვე. საელჩოში ქართველებიც მუშაობდნენ — ცოლ-ქმარი ლალი და ზურაბ შოშიტაშვილები. დამაიმედეს, დამეხმარნენ და მალე მივიღე სანუკვარი ვიზა.

იცოდე, გემიდანვე გადაგაგდებენ ოკეანეშიო, — კვლავ დამადევნეს ზოგიერთებმა დაზეპირებული ფრაზები. ცოდვა გამოტეხილი სჯობია — მეც საკმაოდ მეშინოდა, მაგრამ უკვე აღარ შემეძლო ყური დამეგდო მათი „მეგობრული რჩევისათვის“.

ლენინგრადამდე მგზავრობა ერთობ გაგრძელდა. ირგვლივ უველა ისეთი ყურადღებითა და სითბოთი მეპყრობოდა, უმადურობა კი არა, დანაშაული იქნებოდა ჩემგან რაიმე შიშზე ფიქრი.

როდესაც გემი ლენინგრადის ნავსადგურში შევიდა, დამხვდურთა სიმრავლემ მომჭრა თვალი. ვიყურებოდი დაბლა, ვეძებდი ჩემს სისხლსა და ხორცს, ჩემს ზურაბს, რომელიც უნდა დამხვედროდა. დისწული ნოდარი მაშინვე ვიცანი. ის ხომ უკვე მოზრდილი ბიჭი იყო, როდესაც ჯარში გამიწვიეს. ნოდარის გვერდით იდგა ახალგაზრდა კაცი, გაფითრებული, ოდნავ გაოგნებული. ამ ვაუკაცს ჩემი ცხვირი ჰქონდა. ზურიკო-მეთქი! დავიყვირე...

შვილთან ერთად დავბრუნდი საქართველოში.

არგენტინაში იმასაც გვეუბნებოდნენ, საბჭოთა კავშირში შიმშილობენ, შიშველ-ტიტველნი დადიანო.

მეგონა, თან საუცხოო ტანსაცმელი ჩამოვიტანე-მეთქი, მაგრამ მიმოვიხედე და ჩემზე საწყალად ჩაცმული ვერავინ დავინახე. ცოლ-შვილმაც მითხრა, უხერხულია მაგისთანა ტანსაცმლით სიარულიო. უხარისხო ძველმანები გამხადეს და უველაფერი ახალი, ჩვენებური ჩამაცვეს.

ახლა მშობლიურ მიწაზე ვცხოვრობ, მეუღლე ისევ სკოლაში მუშაობს. ზურაბი კურორტვაჭრობაშია, დამსვენებლებს ემსახურება, რძალი მუსიკას ასწავლის. ჩემი სიცოცხლე და სიხარული შვილიშვილი მაიკო ჯერ სამი წლისაც არ არის და ჩემი უპირველესი მეგობარია.

კარგია ყოფნა საკუთარ ჭერქვეშ!

ზოგჯერ იქ დარჩენილი ჩემი მეგობრები მახსენდებიან და ნაღველი შემიპყრობს ხოლმე. მათთვის ხომ ეს ბედნიერება ჯერჯერობით მიუწვდომელია. ისინი კვლავ უცხო მიწაზე არიან და სამშობლოდაკარგულებს ეძახიან. ვიცი, ამის გამო გული ეჩაგრებათ და მათთვის ისევ მიიზლაზნება სამშობლოზე დარდით დამძიმებული წლები, რომლებსაც მიაქვთ ჩემი მეგობრების ახაკი, ძალ-ღონე.

მე კი, რაღა დაგიმალოთ და, სინდისი მქეჯნის. რა ტყუილად შევალიე ახალგაზრდობა უცხო ქვეყანას...


ჯემალ ჟურხული

ეზიურა აფხაზეთს

ბაგრატ შინკუბას ტექსტი
რაულენ გუმბას მუსიკა

აფხაზეთო, შენ გიმღერი,
ეს სიმღერა შენით ხარობს,
მხიბლავს შენი მწვანე ფრთები,
შენი ზეცა, ნატვრის თვალო.
შენი მთები ცად ასული,
ცად ასული, ვით ასული.

ეს მარადი შენ ხარ ბაღი,
ეს ზღაპრული შენ ხარ მხარე.
საასე მთვარის ხარ ღაღადი,
მე ვუმღერი შენს მზის თვალებს.
შენი მთები ცად ასული,
ცად ასული, ვით ასული.



აფხაზური სამზარეულო



შემწვარი დედალი

გასუფთავებული, გარეცხილი, გამშრალებული დედალი ან ვარია ააგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერჩხალზე. შამფურის ტრიალით ცოტათი რომ შეწითლდება, შეწვის დასრულებამდე ხანგამოშვებით უსვით კაკლის ზეთში ალესილი ჯაჯიკა (გემოვნებით), შემწვარ დედალთან ან ვარიასთან ერთად სუფრაზე მიიტანეთ ტუემლის საწებელი, აჯიკით ან მწვანილით შეკაზმული.

ნიგვზით შეკაზმული ლობიო

500 გრამი ხმელი ლობიო მოხარშეთ და გადაატანეთ თუშფალანგში, რომ სითხისაგან გაიწრიტოს. 1/2-1 ჩაის ჭიქა ნიგოზი დანაყეთ, შემდეგ დაუმატეთ გემოვნებით აჯიკა, კვლავ დანაყეთ და თან ზეთი გამოხადეთ. ზეთგამოხდილი ნიგოზი შეურიეთ მოხარშულ ლობიოს, კარგად აზილეთ, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელში და ზემოდან დაასხით ნიგვზის ზეთი.

„აფხაზურა“

ერთი ცხვრის ან ბატკნის ღვიძლი, გული, ფილტვი, თირკმლები კარგად გარეცხეთ, დაჭერით დიდ ნაჭრებად, მოაყარეთ გემოვნებით მარილი, დანაყალი პილპილი, სურნელი, თუ გსურთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, აურიეთ და ცოტა ხანს გააჩერეთ. შემდეგ ააგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერჩხალზე შამფურის ტრიალით. როცა ცოტა შეწითლდება, მთლიანად შემოახვიეთ მისივე შიგნეულის მფარავი ფარი (წინასწარ გარეცხილი), შემოაკარით წმინდა კანაფი, მოაყარეთ მარილი და თავი და ბოლო დაუმაგრეთ შამფურზე. შეწვით ნაკვერჩხალზე შამფურის ტრიალით.

ხორცი გადაქონში

გარეცხილი, გასუფთავებული ცხვრის ბადექონი დაალბეთ წყალში 30-40 წუთს. შემდეგ ისევ კარგად გარეცხეთ და გაამშრალეთ.

500 გრამი ცხვრის რბილი, მსუქანი ხორცი და 4 თავი ხახვი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაკეპილ ხორცს დაუმატეთ დანაყილი წიწაკა, ნიორი, წვრილად დაჭრილი ქინძი, მარილი, 1 ცალი გათქვეფილი კვერცხი და კარგად აურიეთ. ამის შემდეგ ფრთხილად შეურიეთ მცირე ბრონეულის მარცვლები.

ბადექონი დაჭერით 4-5 ნაჭრად. თითოეულ ნაჭერზე მოათავსეთ გამზადებული ხორცი და შემოკეცეთ, დააწყეთ ნაკეცით ტაფაზე და შეწვით უცხიმოდ. ერთი მხარე რომ შეიწვება, გადაბრუნეთ და შეწვით თავღიად მეორე მხრიდან. აღნიშნული მასალა შეიძლება შამფურზეც შეიწვას, ოღონდ მაშინ საჭიროა ძაფით დამაგრდეს, რომ შეწვის დროს არ ჩაიშალოს.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.